# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 12 მაისი 2005 №104 (2427) ფასი 50 თეთრი



**ეროვნულ დღეს ეროვნულზე**

ფინალი ძველ სახლში დაბრუნდა

3



**შენ ლეგენდა ხარ!**

ინტერვიუ ფერნანდო იეროსთან

9



**მიდი, მოვდივარ**

დი ლუკა და სხვები

12

# დღეს ორივეზე ფინალია

აი, მოატანა ფინალმაც, რომელშიც ერთმანეთს დამსახურებული გუნდები ერკინებიან. ტექნიკური უნივერსიტეტისა და საავიაციო ქარხნის გუნდები მთელი სეზონის განმავლობაში ჩაუქრობდნენ და ჩემპიონობაც ორივეზე ალალია, მაგრამ ეგაა, როგორც ნებისმიერ ტურნირში, საქართველოს ჩემპიონატშიც ერთი გამარჯვებული უნდა გამოვლინდეს და ფინალისტებიც არაფერს დაიშურებენ წარმატების მისაღწევად. ამ სეზონში სტუ და „ავიამშენი" ექვსჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და მოგება-წაგებათა ტოლობა დაძაბულ ფინალს გვიქადის.

დღეს, 17 საათზე, სტუ — „ავიამშენის" პირველი შეტაკებაა, სერია კი სამ გამარჯვებამდეა. მეორე მატჩი ხვალაა დანიშნული, მომდევნო კი 17 მაისს.



# დორტმუნდი იაშვილს ადასტურებს, არველაძე კი ვან გაალს ხვდება










# ვან გაალმა შოთას შეხვედრა დაუნიშნა

## არველაძე ფანებს ემშვიდობება და ჰოლანდიაში მიფრინავს

**შოთა არველაძე** 18 მაისს გლაზგოდან ჰოლანდიაში, ალკმაარში ჩავა და AZ-თან მოლაპარაკებას გამართავს.

„რეინჯერსის" 32 წლის შემტევ არველაძეს გლაზგოელებთან კონტრაქტი სეზონის ბოლოს ეწურება და თავისუფალი აგენტი ხდება. როგორც შოთამ გვითხრა, მას უკვე აქვს რამდენიმე შეთავაზება, რომელთაგან ერთ-ერთი „ალკმაარისაა".

დამლეგი სეზონიდან „ალკმაარს" სახელოვანი ლუის ვან გაალი გაწვრთნის და, როგორც არველაძემ გვითხრა, სწორედ ვან გაალის ინიციატივაა მისი „ალკმაარში" შესაძლო ტრანსფერი.

„ალკმაარი" მიმდინარე სეზონში საკმაოდ წარმატებულად თამაშობს — უეფას თასის ნახევარფინალამდე მიაღწია, ხოლო ჰოლანდიის ჩემპიონატში, რომლის დასრულებას ორი ტური უკლია, მესამე ადგილზეა.

მომავალი სეზონიდან „ალკმაარში" ახალი გუნდი უნდა გაკეთდეს. AZ-დან მწვრთნელი კო ადრიანსეც მიდის და რამდენიმე ფეხბურთელიც, ჰოდა, ვან გაალიც უკვე თადარიგს იჭერს. შოთამ ისიც გვითხრა, რომ 18 მაისს ვან გაალის გარდა კლუბის უფროსობასაც დაელაპარაკება.

შეგახსენებთ, არველაძეს ჰოლანდიაში ოთხი სეზონი უთამაშია — 1997-2001 წლებში ამსტერდამის „აიაქსის" ფეხბურთელი იყო, ჰოლანდიურ ლიგაში 96 მატჩი ითამაშა და 55 გოლი გაიტანა.

ჰოლანდიაში გამგზავრებამდე შოთას შოტლანდიურ პრემიერლიგაში თამაში და „რეინჯერსის" ფანებთან დამშვიდობება მოუწევს — 14 მაისს „რეინჯერსი" „მოზერუელს" მასპინძლობს, რაც აიბროქსელებისთვის სეზონში ბოლო საშინაო მატჩია.

ერთი სიტყვით, 18 მაისს შოთა „ალკმაარს" დაელაპარაკება — შეხვედრა უკვე დანიშნულია.

**დავით თავართქილაძე**

# ორიდან ერთი თუ არცერთი?

## ლევან კალაძის საქმე ისევ ბუნდოვანია

**სვანურ** სოფელ ეცერში აფრასიძეების სამოსახლოსთან ნაპოვნი სამარხიდან 29 ნეშთი ამოიღეს, რომელთაგან 27-ს ისევ უკან დააბრუნებენ. საქმე ისაა, რომ ეს ნეშთები 20-30 წლის წინ დალუპულებისა აღმოჩნდა, ხოლო დარჩენილი ორი გვამი შედარებით ახალი (სამიდან რვა წლამდე) დამარხულია.

არის თუ არა მათ შორის კახა კალაძის ძმის, ლევანის ნეშთიც? ამ კითხვას დნმ-ანალიზის ჩატარების შემდეგ გაეცემა პასუხი.

ეს ორი ნეშთი უახლოეს დღეებში აშშ-ში გაიგზავნება და დნმ-ანალიზი სწორედ იქ ჩატარდება.

# წავა როსიცკი, მოვა იაშვილი

## დორტმუნდმა ქართველი თავდამსხმელი დაამოწმა

*გერმანელი ჟურნალისტები იუწყებიან: დორტმუნდის „ბორუსია" სეზონის ბოლოს ჩეხ ნახევარმცველ ტომაშ როსიცკის უშვებს და „ფრაიბურგიდან" ქართველ თავდამსხმელ ალექსანდრე იაშვილს ყიდულობს, ამ ტრანსფერის ალბათობა დაახლოებით 95 პროცენტიაო...*

ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა ეს ინფორმაცია „დორტმუნდის" ხელმძღვანელობასთან გადაამოწმეს და პასუხად ეს მიიღეს: „დიახ, როსიცკის შემცვლელად ალექსანდრე იაშვილი გვესახება".

ამ ამბავს იაშვილი ჯერ არ ადასტურებს, თუმც „ფრაიბურგიდან" ცალი ფეხით უკვე წასული რომ არის, ნაღდია. ალექსანდრე იაშვილმა „ფრაიბურგთან" კონტრაქტი შარშან ორი წლით კი გააგრძელა, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობასთან მაშინვე შეთანხმდა, რომ კონტრაქტის ცალმხრივად გაწყვეტის უფლება ექნებოდა და მის სანაცვლოდ უსაშველო თანხას არ მოითხოვდნენ. ჯერჯერობით უცნობია, „ფრაიბურგი" იაშვილს რამდენად შეაფასებს, თუმც მოთხოვნილი თანხა ჩვენიანის მსურველს, ალბათ, არ დააფრთხობს.

შეგახსენებთ, ალექსანდრე იაშვილი „ფრაიბურგიდან" წასვლას შარშანაც აპირებდა, მაგრამ კლუბის უფროსობის თხოვნა გაითვალისწინა და თავისთვის ხელსაყრელი ახალი კონტრაქტი გააფორმა. სხვათა შორის, ამ კონტრაქტის თანახმად, თუ „ფრაიბურგი" ბუნდესლიგიდან გავარდებოდა, იაშვილს კლუბი აღარ დააკავებდა. „ფრაიბურგი" კი უკვე რა ხნის გავარდნილია...

დავძენთ იმასაც, რომ ალექსანდრე იაშვილის „ფრაიბურგიდან" „დორტმუნდში" ტრანსფერზე ადრეც ამბობდნენ, თუმც ახლა საქმე უფრო სერიოზულადაა — „დორტმუნდმა" იაშვილის შეძენის სურვილი დაადასტურა.

ბარემ აქვე გეტყვით, რომ „ფრაიბურგის" მეორე ქართველის, ლევან ცქიტიშვილის გადაბირება ასევე ბუნდესლიგელმა მიონხენგლადბახის „ბორუსიამ" მოიწადინა.

**კობა ინასარიძე**




### სერბეთი
პრვა ლიგა
გადადებული მატჩი
ობილიჩი 3:1 ზეტა
თასის ნახევარფინალი
ცრვენა ზვეზდა 2:0 პარტიზანი

### პოლონეთი
თასის მეოთხედფინალი
პირველი მატჩები
კორონა 2:4 გროცლინი
პლოცკი 1:1 ზაგლებე
პოგონი 0:0 ვისლა

### ავსტრია
მაქსბუნდესლიგა
გადადებული მატჩები
ადმირა 0:1 რაპიდი
ავსტრია 4:0 პაშინგი

### საფრანგეთი
თასის
ნახევარფინალი
მონაკო 0:1 *სედანი*

### შვეიცარია
სუპერლიგა
XXXII ტური
ბაზელი 3:1 სენტ გალენი
შაფჰაუზენი 2:1 ციურიხი
თუნი 1:1 იანგ ბოიზი
ძსამაძსი 1:1 აარაუ
ჩელენჯლიგა
გადადებული მატჩები
ვინტერთური 0:3 ვადუცი
ლუცერნი 1:0 ლუგანო

### ინგლისი
პრემიერლიგა
გადადებული მატჩი
არსენალი 7:0 ევერტონი

### ესპანეთი
თასის ნახევარფინალი
საპასუხო მატჩი
ბილბაო 0:0(პენ.4:5) *ბეტისი* (0:0)

### ბელგია
თასის ნახევარფინალი
საპასუხო მატჩი
*ბევერსხოტი* 0:0 ლოკერენი (1:1)

### ჩეხეთი
თასის
ნახევარფინალი
ლიბერეცი 2:2დდ(პენ.2:3) *სლოვაცკო*

### სლოვაკეთი
პირველი
ლიგა
XXIX ტური
ჟილინა 2:1 ბანსკა ბისტრიცა
ტრნავა 0:1 პეტრჟალკა

### გერმანია
ჩრდილოეთ
რეგიონალლიგა
გადადებული მატჩი
კიოლნი (მ) 4:1 ჰერტა (მ)

### ხორვატია
თასის ფინალი. I მატჩი
რიეკა 2:1 ჰაიდუკი

### ამხანაგური მატჩი
გვატემალა — ვენესუელა *გადაიდო*

### უნგრეთი
თასის
ფინალი
ფერენცვაროში 1:5 შოპრონი

### თურქეთი
თასის
ფინალი
გალათასარაი 5:1 ფენერბაჰჩე

### შვედეთი
სუპერეტა
IV ტური
ბრომაპოიკარნა 1:2 აიკ

### იტალია
თასის ნახევარფინალი
პირველი მატჩი
რომა 1:1 უდინეზე




# არველაძემ ფეხბურთის პროგრამა გაამზადა



**ბევრი** იფიქრა თუ ცოტა, რევაზ არველაძემ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზე კანდიდატურა წამოაყენა, ოფიციალურ განაცხადს კი ის დღეს-ხვალ გააკეთებს. ეს ამბავი გუშინ ფეხბურთის ფედერაციის პრეს-ატაშემ ლევან სალუქვაძემ გვაცნობა:

— დიახ, ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი რევაზ არველაძე საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს. მან უკვე დაასრულა თავის საპრეზიდენტო პროგრამაზე მუშაობა, რომლის პრეზენტაციასაც უახლოეს დღეებში გეგმავს.

რა როგორ წერია რევაზ არველაძის პროგრამაში, ამას ჯერ ვერ გეტყვით, თუმც კანდიდატურის წამოყენებისგან აქამდე რატომაც იკავებდა თავს, ცნობილია: არველაძე ფინანსურ და სხვა სახის გარანტიებს ელოდა. კონკრეტულად რას და ვისგან, არც ეს უნდა იყოს საზოგადოებისთვის უცნობი.

იმასაც ამბობდნენ, რევაზ არველაძე ნოდარ ახალკაცის ნაბიჯის შესაბამისად მოიქცევა, ანუ ახალკაცი თუ წამოაყენებს კანდიდატურას, არველაძე მას არ შეეცილებაო. ჩანს, ახალკაცმა პრეზიდენტობაზე ხელი საბოლოოდ ჩაიქნია.

**კობა ინასარიძე**

# ეროვნულ დღეს ეროვნულზე

## სიურპრიზებით სავსე ფინალი: ლოკომოტივი — ზესტაფონი

**26 მაისი,** დავით ყიფიანის სახელობის თასის ფინალი: „ლოკომოტივი“ — „ზესტაფონი“. ამ თამაშს უკვე დიდი ყურადღება ექცევა და საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგაც ხელებს იკაპიწებს. მთავარი სიახლე კი ის არის, რომ თასის ფინალი ადრე დათქმული „მიხეილ მესხის“ ნაცვლად „ეროვნულზე“ გაიმართება და აი, რატომ:

„ჩვენი გადაწყვეტილება ლოგიკურია — ერთ-ერთი ფინალისტი „ლოკომოტივია“ და არ გვინდოდა, სპორტული პრინციპი დაგვერღვია. სჯობს, „ლოკომოტივმა“ და „ზესტაფონმა“ ნეიტრალურ მოედანზე გაარკვიონ თასის მფლობელის ვინაობა“ — გვითხრა გუშინ პროფლიგის პრესსამსახურის უფროსმა პაატა ბურჯალიანმა.



მოკლედ, 26 მაისს ფინალი „ეროვნულზე“ ჩატარდება. მატჩის დაწყების დრო ჯერჯერობით არ დადგენილა, თუმც ის კი გადაწყვეტილია, რომ თამაში საღამოს, შესაძლოა, განათებაზეც გაიმართოს.

ამასობაში პროფლიგა საორგანიზაციო საქმეებითაა დაკავებული და სტადიონზე მისულ გულშემატკივარს ბევრ სიურპრიზს ჰპირდება.

„ქომაგი „ეროვნულზე“ მოსვლას არ ინანებს და შემიძლია, დარწმუნებით გითხრათ, რომ საკმაოდ ბევრ საინტერესოს ნახავს. სხვადასხვა კომპანიებთან მოლაპარაკებები უკვე დაწყებული გვაქვს და, ვფიქრობთ, ყველაფერზე შევთანხმდებით. თამაშის წინ დიდი შოუს გამართვას ვაპირებთ, თუმცა დეტალებზე ჯერ ვერაფერს გეტყვით. ძალიან გვინდა, საქართველოს ჰიმნი ცოცხლად შესრულდეს და ალბათ ასეც იქნება“ — გვითხრა ბურჯალიანმა.

პროფლიგა მატჩის ტელეტრანსლაციაზეც მუშაობს და თამაშამდე ერთი კვირით ადრე ტელევიზიებში, პრესასა თუ რადიოებში ფინალის ანონსის გაშვებას გეგმავს.

ერთი სიტყვით, სხვა გზა არ დაგრჩენიათ — 26 მაისს სტადიონზე უნდა წახვიდეთ!

**კახა შალამბერიძე**

*გასულ უქმეებზე გიორგი ქინქლაძე კვიპროსის ჩემპიონი გახდა და სურს, კარიერის ბოლოს ნაკრებშიც ითამაშოს. „ქინქი“ არ თმობს და ირწმუნება, რომ ალენ ჟირესის გუნდში მოსახვედრად ჯანი მართლაც შესწევს*

# ქინქი არ თმობს

## ისევ თამაში, ისევ ნაკრები

**როცა** ქინქლაძე „ანართოსისში“ მივიდა შარშანდელ შემოდგომაზე, მანამდე თითქმის წელიწადნახევარი უგუნდოდ იყო. გიორგის ძალიან სურდა ნაკრებში დაბრუნება და ასეთი ნაბიჯი, პირველ ყოვლისა, ამის გამო გადადგა. თანაც ქინქლაძე მეგობრის გუნდში მივიდა — „ანართოსისის“ მოთამაშე-მწვრთნელი 36 წლის თემურ ქეცბაიაა.

კვიპროსის ჩემპიონატის დასრულებას ერთი ტური უკლია. ქინქლაძემ 22 მატჩი ითამაშა და 2 გოლი გაიტანა, თუმც ბევრი საგოლე პასიც ჩამოურიგა თანაგუნდელებს.

„საგოლე პასები არ დამითვლია, ეს ალბათ ქეცბაიას ეცოდინება“ — გვითხრა გიომ.

მაგრამ სად იქნება ქინქლაძე მომდევნო სეზონში?

— „ანართოსისმა“ უკვე შემომთავაზა კონტრაქტის გაგრძელება. პასუხი ჯერ არ მითქვამს, უნდა მოვიფიქრო. გადაწყვეტილი მხოლოდ ის მაქვს, რომ კარიერას ჯერ არ ვასრულებ, კიდევ მინდა თამაში, თან ეროვნულ ნაკრებშიც“ — ასეთია ქინქლაძის სურვილი.

მაგრამ გიორგი 32 წლისაა და „ანართოსისამდე“ არცთუ ცოტა გაუცდა. ჟირესმა ის 9 თებერვალს ამხანაგურ მატჩში ათამაშა ლიტვასთან და თქვა, ქინქლაძით კმაყოფილი დავრჩიო, მაგრამ მერე აღარ გამოუძახებია ნაკრებში.

„ვფიქრობ, ფორმა უკვე აღვიდგინე და რატომ არ უნდა ვიყო სანაკრებო კონდიციაში?!“ — ასე მიაჩნია ქინქლაძეს და ვინ იცის, იქნებ, მისი ლამაზი ფინტები, ძველი „ქინქი“ ერთხელაც ვნახოთ.

**დავით თავართქილაძე**

# თქვენი ინტერვიუ ალენ ჟირესთან

*თქვენი კითხვების მორიგი ადრესატი საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ალენ ჟირესი გახლავთ. მუსიე ჟირესი, მოგეხსენებათ, ფრანგია, მაშასადამე, ევროპელი და, ალბათ, „ჩამჭრელ“ და „მკვლელ“ კითხვებს მისთვის არ დაინანებთ. ჟირესი და „სარბიელი“ თქვენს კითხვებს 25 მაისამდე დაელოდებიან, ხოლო „თქვენ ინტერვიუს“ ჟირესთან 1 ივნისამდე იხილავთ.*



მოგვმართეთ ტელეფონით: 38 11 14; ელექტრონული ფოსტა: **Starmail@Caucasus.net**



მურად ანჯაფარიძე



შედან ნანიკაშვილი

*ქუთაისის „ტორპედო“ ევროტურნირზე გამსვლელ ადგილს, ალბათ, დაიკავებს. შანსი აქვს, სულაც საქართველოს ჩემპიონობასაც შესწვდეს, მაგრამ ისიც თავისუფლად შესაძლებელია, იმერლებს ეს მიღწევა ოხრად დარჩეთ. როგორც იცით, „ტორპედომ“ ლიცენზია ჯერ ვერ მოიპოვა, ასეთებს კი ევროპის კარი დაკეტილი აქვთ. ქუთათურებმა ლიცენზირებისთვის საჭირო ოთხი კრიტერიუმი ასე თუ ისე დააკმაყოფილეს, მაგრამ ფინანსურ მხარეს ვერ მოაბეს თავი — კლუბის ანგარიში დაყადაღებულია, ყადაღა კი სასამართლოში უნდა მოიხსნას, თუმცა, როგორც ჩანს, არც ისე წვიმს, როგორც ქუხს...*

# ყადაღა მოითმენს, ტორპედო მოიგებს?

## ქუთათურები ევროპას მიუახლოვდნენ

**ამას** წინათ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სალიცენზიო კომიტეტმა „ტორპედოს“ საქმეს ხაზი გადაუსვა, მაგრამ ქუთაისელებმა სფფ-ის ლიცენზირების სააპელაციო კომიტეტში შეიტანეს სარჩელი. ამ კომიტეტს კი მურად ანჯაფარიძე ხელმძღვანელობს, რომელმაც გუშინ დამაიმედებელი ინფორმაცია მოგვაწოდა:

— სააპელაციო კომიტეტის სხდომა დაახლოებით ერთ კვირაში გაიმართება. „ტორპედოს“ საქმე არც ისე შავადაა — მართალია, კლუბის ანგარიშს ყადაღა ადევს, მაგრამ მათ სასამართლოში აქვთ შეტანილი სარჩელი და ასეთი გუნდების ლიცენზირებას უეფა არ გამორიცხავს. ისე, ყადაღა თუ მოიხსნება, რა თქმა უნდა, ეს უფრო გააიოლებს „ტორპედოს“ საქმეს.

...მომავალ სხდომაზე თუ ვერ გადაწყდა ქუთაისელთა საკითხი, მაშინ 25 მაისს კიდევ ერთხელ შევიკრიბებით. თვის ბოლოს კი ყველანაირი ვადა იწურება: ფედერაციამ ოფიციალურად უნდა გაუგზავნოს უეფას ლიცენზირებული კლუბების სია.

...ლიცენზიების გაცემა-არგაცემა მხოლოდ ჩემს კომპეტენციაში არ შედის. ხუთკაციანი კომისია იქნება, ხოლო უეფაში ამ საკითხზე პასუხისმგებელი ვალერი ჩოლარია გახლავთ. ასე რომ, მისი აზრი უმთავრესთაგანია.

...სხვათა შორის, საქართველო ერთ-ერთი იმ მცირერიცხოვანი ქვეყანათაგანია, რომლის ფედერაციას უეფა ლიცენზიების გაცემის უფლებას აძლევს. უმეტესი ევროპული ქვეყნების კლუბებს თავად უეფა ამოწმებს და, ცხადია, უფრო მკაცრადაც. ამიტომ, ჩვენ რომ უსაფუძვლოდ გავცეთ ლიცენზია, უეფა მაინც გაიგებს და მერე საკუთარი კონტროლის ქვეშ აიყვანს ქართულ კლუბებს.

...„ტორპედოს“ გარდა, ფინანსური კრიტერიუმი „თბილისსაც“ მოუწესრიგებელი აქვს, მაგრამ აქ მცირე შენიშვნებია და, იმედია, კლუბი იოლად მოუვლის ამ საქმეს.

სავიშვიშოს ვერც „ტორპედოს“ ვიცე-პრეზიდენტი შედან ნანიკაშვილი ხედავს რაიმეს: „საბუთები შეკრებილი გვაქვს და, მართალია, ყადაღა ჯერ მოუხსნელია, მაგრამ უამისოდაც მოგვარდება ეს საკითხი. ისე, „ტორპედოს“ ლიცენზირების ამბავი უკვე ბოლომდე მიყვანილი უნდა იყოს და ამდენი ფორმალობები აღარ არის საჭირო“ — გვითხრა ნანიკაშვილმა.

**ილია ნანოგაშვილი**

# ცოცხალი ვარ, ცოცხალი

## ბათუმს ნანატრი ხელფას-პრემია ეღირსა

**მეორე** ეტაპის დაწყება და „ბათუმის“ ჭაობში ჩაფლობა ერთი იყო. აჭარული კლუბი ფინანსურმა გასაჭირმა მოიცვა, გუნდი ძლივს შეკოწიწებული ფულით დადიოდა გასვლით მატჩებზე, ბოლო ტურში მომხდარმა „მარგალიტმა“ კი ყველაფერს გადააჭარბა — ზღვისპირელები „თბილისთან“ სათამაშოდ მხოლოდ 11 ფეხბურთელით ჩამოვიდნენ, რომელთა უმეტესობას 16-17 წლის ბავშვები შეადგენდნენ. ძირითადმა ბირთვმა კი უხელფასოდ თამაშზე უარი თქვა.

თუმცა გუშინ ბათუმელთა ჩარხი წალმა დატრიალდა. გუნდის უფროსმა თამაზ ცინარიძემ გვითხრა, რომ აჭარის მთავრობის ხელმძღვანელმა ლევან ვარშალომიძემ ბიზნესმენები შეაწუხა და უფულობა აღარ შეგვაწუხებსო.

— ფეხბურთელებს ორი თვის ხელფასი და ოთხი თვის პრემიები ჩარჩათ ასაღები, მწვრთნელებსაც დაახლოებით ოთხი თვის ჯამაგირი მიეცემათ. ხვალ გუნდი მარტის ხელფასს მიიღებს, მაისის ბოლომდე კი დავალიანებები მთლიანად დაიფარება. ვარშალომიძემ ადგილობრივ ბიზნესმენებს აუხსნა, რა დღეშიც იყო გუნდი. ბათუმში ფეხბურთი არ უნდა მომკვდარიყო და ამას არც არავინ დაუშვებს.

...ამ სეზონში ამოვისუნთქეთ. რა თქმა უნდა, დარჩენილ ოთხ ტურში უძლიერესი შემადგენლობით ვითამაშებთ და, წესით, უმაღლესი ლიგიდან გავარდნა აღარ უნდა დაგვემუქროს. 25 მაისს „ბათუმის“ ხელმძღვანელობას ბიზნეს-სტრუქტურებთან ექნება შეხვედრა, ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ სტაბილური ფინანსური ზურგი გვექნება. კომპანია „თერო“ კი კლუბს ახლაც სპონსორობს და მისი მადლიერებიც ვართ.

ღმერთმანი, კარგი ინფორმაციაა, აბა, სირცხვილი არ იქნებოდა, აჭარაში „ბათუმი“ გაწირულიყო?! მაგრამ ისიცაა, რომ მაინცდამაინც დანაყელთან რომ მივა, მარტო მაშინ არ სჭირდება გუნდს მიხედვა...

**ილია ნანოგაშვილი**

# ალადაშვილმა უკრაინა მოიხადა

## ექვსთვიანი თელავში დამთავრდება

**თბილისის** „დინამოს“ ნახევარმცველი კახა ალადაშვილი ფეხბურთს დაუბრუნდა, მის ექვსთვიან დისკვალიფიკაციას ვადა გუშინ გაუვიდა და დღეიდან თამაშის უფლება ეძლევა.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ და „დინამომ“ ალადაშვილის „ამნისტიის“ თაობაზე ოფიციალური წერილი უკვე მიიღეს — ფიფამ ფეხბურთელს თამაშის უფლება მისცა.

შეგახსენებთ, კახა ალადაშვილი ჯერ უეფამ, შემდეგ კი ფიფამ 12 ოქტომბერს უკრაინა — საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებთა მატჩისას უსაქციელობისთვის დასაჯეს და ექვსი თვით მოკვეთეს. ფეხბურთელი ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ ვარჯიშობდა, ამხანაგურ მატჩებში მონაწილეობის უფლებაც კი არ ჰქონდა.

„დინამო“ კი დისკვალიფიკაციამოხდილ ფეხბურთელს ჯერ პირველ ლიგაში ათამაშებს, დღეს „დინამო 2“ „კახეთს“ სტუმრობს და ალადაშვილიც გუნდს ამ მატჩში დაუბრუნდება, 14 მაისს კი, შესაძლოა, ძირითად გუნდთან ერთად ფოთის „კოლხეთთან“ ითამაშოს.

**ძოგა ინასარიძე**



საქართველოს 16 ჩემპიონატი
პირველი ლიგა
მეორე წრე
26 ტური

**ცხინვალი 0:0 გურია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბორჯომი | 25 | 19 | 3 | 3 | 61:26 | 60 |
| ამერი | 25 | 19 | 2 | 4 | 79:15 | 59 |
| სპარტაკი | 25 | 14 | 8 | 3 | 43:25 | 50 |
| ვიტ ჯორჯია | 25 | 14 | 6 | 5 | 39:20 | 48 |
| კახეთი | 25 | 14 | 4 | 7 | 42:30 | 46 |
| ცხინვალი | 26 | 13 | 4 | 9 | 34:28 | 43 |
| დინამო 2 | 25 | 13 | 1 | 11 | 53:41 | 40 |
| გურია | 26 | 10 | 7 | 9 | 28:35 | 37 |
| ჩიხურა | 24 | 8 | 7 | 9 | 24:26 | 31 |
| რუსთავი | 25 | 9 | 3 | 13 | 32:37 | 30 |
| ლოკომოტივი 2 | 24 | 7 | 5 | 12 | 28:38 | 26 |
| ოლიმპი | 25 | 7 | 4 | 14 | 30:41 | 25 |
| მერანი | 25 | 7 | 4 | 14 | 31:44 | 25 |
| ივერია | 24 | 6 | 5 | 13 | 20:37 | 23 |
| საგარეჯო | 25 | 3 | 5 | 17 | 21:58 | 14 |
| მაღაროელი | 24 | 0 | 4 | 20 | 11:75 | 4 |


ფეხბურთი
ფკ ამერის სკოლა
პირველი ლიგა
12 მაისი
ოცდამეექვსე ტური
ამერი — ვიტ ჯორჯია
თბილისი მცხეთა
დასაწყისი 17 საათზე.
დასწრება უფასოა
მის: თიანეთის გზატკეცილი 25
(გლდანულას გადასახვევთან)
მატჩის მსვლელობა ონლაინ-რეჟიმში
საიტზე: www. fcameri.ge

# მიზანი სიმ 7-ეა

## სამნი ერთ მილანში: ბერლუსკონი, გალიანი და ანჩელოტი



კარლო ანჩელოტის „ლივერპულის“ არ ეშინია

**ინგლისური** „სანის“ მტკიცებით, „მილანის“ მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ ჩემპიონთა ლიგის ფინალური შეხვედრის წინ ფსიქოლოგიური ბრძოლა ასეთი განცხადებით დაიწყო: „ლივერპული“ შემაძრწუნებელი მოწინააღმდეგეა.

თუ რა იგულისხმა იტალიელმა ტაქტიკოსმა ამ სიტყვებში, ვფიქრობთ ნათელია — მილანელებს სწამთ, რომ რაფაელ ბენიტესი და მისი გუნდი 25 მაისს სტამბოლში, ჩაზუთულ და ჩაკეტილ დაცვაზე იქნებიან კონცენტრირებულნი.

45 წლის ანჩელოტი ბრძანებს: „დაცვაში „ლივერპული“ უმაღლესი ორგანიზაციით გამოირჩევა და ეჭვიც არ მეპარება, რომ იგი უპირატესად ჩვენი შეტევების დაჩრდილვას ეცდება. ამ გუნდის წინააღმდეგ თამაში შემაძრწუნებლად ძნელია, მითუმეტეს, რომ ლივერპულელებს სიურპრიზების შემოთავაზებაც შეუძლიათ.“

„იუვენტუსსა“ და „ჩელსისთან“ მატჩები ლივერპულელებმა ზუსტად ისე წარმართეს, როგორც მათ აძლევდათ ხელს. ჩვენ მათთან შეხვედრისთვის მართლაც განსაკუთრებით უნდა მოვემზადოთ, მაგრამ ამასთან მინდა გითხრათ, რომ საკუთარი გუნდის რწმენას არ ვუჩივი, ჩემი ფეხბურთელები სტამბოლში საუკეთესო ფორმაში ჩავლენ.

ერთადერთი, რაც შესაძლოა, კაცმა იეჭვოს, მენტალური დაღლაა, რაც სრულიად ბუნებრივია, ვინაიდან 30 დღეში 10 გადამწყვეტი შეხვედრის ჩატარება ნებისმიერი ადამიანისთვის უძნელესი საქმეა, მაგრამ ფიზიკური მომზადების თვალსაზრისით, ჩემს ფეხბურთელებს მარაგი დიდი აქვთ.

და ბოლოს, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ფინალამდე თითქმის ორი კვირაა დარჩენილი.“

ამრიგად, „მილანი“ გამალებულ მზადებაშია, ანჩელოტის შესახებ კი ამასწინათ, იტალიურ პრესაში დაიწერა, რომ თუ იგი 25 მაისს, სტამბოლურ ფინალს ვერ მოიგებს, სხვა გუნდში, კერძოდ კი „რომაში“ გადავა. ამ ჭორსა თუ მართალს „გაძეტა დელო სპორტის“ ფურცლებზე კომენტარი მილანელთა ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ გაუკეთა:

„მე მეამაყება ასეთი მწვრთნელი და გუნდი, რომ გვყავს. როგორც არ უნდა დამთავრდეს მიმდინარე სეზონი, ჩვენ, სილვიო ბერლუსკონი, ადრიანო გალიანი და კარლო ანჩელოტი თანმიმდევრულად, ერთად და საკუთარი ძალების რწმენით განვაგრძობთ ჩვენს საქმეს.“

იმავე ინტერვიუში გალიანი კვირას, საჩემპიონო შეხვედრაში „იუვენტუსთან“ განცდილ მარცხსაც შეეხო:

„გასულ კვირას, ჩემთვის ვინმეს რომ ეკითხა, რა გირჩევნია, „იუვენტუსის“ დამარცხება თუ ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებაო, უყოყმანოდ ვუპასუხებდი, რომ სკუდეტოში ჩემპიონთა ლიგას არასდროს გავცვლი. ამასთან, მინდა განვაცხადო, რომ „ლივერპულის“ არ მეშინია. ჩვენ მეშვიდედ უნდა მოვიპოვოთ ჩემპიონთა თასი.

გასულ სეზონში, ევროპაში ჩვენზე უკეთ არავის უთამაშია. ჩვენ უეფა-ს რეიტინგში პირველ ადგილზე ვართ და ჩემთვის ეს არის მნიშვნელოვანი. ახლა, უარეს შემთხვევაში, ორი შეჯიბრების ვიცე-ჩემპიონობა გვემუქრება, რაც არავითარ შემთხვევაში არ გვინდა. დაე, „იუვენტუსმა“ თავის წილ წარმატებას მიაღწიოს, ჩვენ კი ჩვენს გასავლელს გავივლით ბოლომდე. უმთავრესი საქმე ბოლომდე ბრძოლაა.“

**ბაჩუნა ძიძია**




# 35 000 000

## პარმამ ჯილარდინოს მუშტარი დააფრთხო

*გუშინ „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი „პარმას“ განცხადებას — ალბერტო ჯილარდინოს 35 მილიონ ევროზე ნაკლებ არ გავყიდოთო — გამოეხმაურა*

**გამოეხმაურა და...** „როსონერის“ ხელმძღვანელობა ამხელა თანხის გადახდაზე ყაბულს არ არის, მაგრამ ჯილარდინოს შეძენა უნდა და ყველანაირად ეცდება ამის გაკეთებას. სავარაუდოდ, გალიანი და კომპანია საბოლოო გადაწყვეტილებას სეზონის დასრულების შემდეგ მიიღებენ.

„ამჟამად არანაირ ტრანსფერებზე არ ვფიქრობთ და მოლაპარაკებასაც არ ვაწარმოებთ. ახლა მთავარია, სეზონი მაქსიმალურად წარმატებით ჩავამთავროთ. რაც შეეხება ჯილარდინოს, მისი ყიდვა გვინდა, მაგრამ არა ამ ფასად“ — განმარტა გალიანიმ.

როგორც ამბობენ, „მილანი“ შეეცდება, პარმელებს ჯილარდინოს ფასი 5 მილიონით მაინც დააგდებინოს. 30 მილიონის ძირითადი ნაწილის მოგვარებას კი „შავ-წითლები“ იონ დალ ტომასონისა და დარიო შიმიჩის ინგლისში ან გერმანიაში გაყიდვით, პლუს ჩემპიონთა ლიგის მოგებიდან შემოსული თანხით აპირებენ.

და თუ ყველაფერი ისე არ აეწყო, როგორაც მილანელები გეგმავენ, არ არის გამორიცხული, მათ ჯილარდინოს შეძენაზე ხელი ჩაიქნიონ და სხვა ფორვარდი იყიდონ. სავარაუდო კანდიდატები უკვე სახელდება — უდინეზელი ვინჩენცო იაკინტა და პალერმოელი ლუკა ტონი.

გარდა ამისა, დღესვე ლონდონში „მილანისა“ და „ჩელსის“ წარმომადგენლების კიდევ ერთი შეხვედრაა დაგეგმილი — მილანელების მთავარი საკითხი კი კვლავ ერნან კრესპო იქნება. მოგეხსენებათ, კარლო ანჩელოტის გუნდის ხელმძღვანელობას მისი კონტრაქტის საბოლოო გამოსყიდვა სურს. „სან სიროზე“ დარჩენა თავად არგენტინელსაც სურს. თავის მხრივ, ლონდონელები ეცდებიან, მილანელები კრესპოს კახა კალაძეზე გაცვლაზე დაიყოლიონ.

ბოლოს კი ისევ ალბერტო ჯილარდინოს დავუბრუნდეთ, რომლის შეძენა სხვა კლუბებსაც სურთ და ამაზე „პარმას“ ხელმძღვანელობაც ხშირად საუბრობს.

„შემიძლია გითხრათ, რომ „მილანს“, „იუვენტუსსა“ და „ინტერს“ ჯილარდინოს შეძენის ერთნაირი შანსები აქვთ. ჩვენ ფასი უკვე დავასახელეთ, ახლა კი რეალურ შემოთავაზებას ველით“ — თქვა პარმელთა ადმინისტრაციის ლუკა ბარალდიმ.

**გიორგი კაკაბაძე**

# დი კანიოს აჯანყება

## რომაული დერბი კომენტარების გარეშე

*რომაული კლუბები სერია A-ს მიმდინარე სეზონს ძალიან ცუდად ატარებენ და ჩემპიონატის დასრულებამდე სამი ტურით ადრე გავარდნის საშიშროებაც კი ემუქრებათ, ხოლო მომავალ უქმეებზე „რომა“ და „ლაციო“ ერთმანეთს ხვდებიან. ამ მატჩს ბევრი ლაქლაქი არ სჭირდება, უბრალოდ აღვნიშნოთ, რომ დედაქალაქური დერბის გარშემო აჟიოტაჟი უკვე დაწყებულია*

**ცოტა ხნის** წინ „რომას“ „ლაციომაც“ მიბაძა და სეზონის ბოლომდე კლუბის წევრები პრესასთან ურთიერთობას არ აპირებენ. სამაგიეროდ, კომენტარი გააკეთა გუნდის პრეზიდენტმა კლაუდიო ლოტიტომ — ამ გზით არეულ ვითარებას დავარეგულირებთ და ჩემპიონატსაც მშვიდად ჩავამთავრებთო. მან ისიც დაადასტურა, რომ „ლაციოს“ თავკაც ჯუზეპე პაპადოპულოსა და ვეტერან ფორვარდ პაოლო დი კანიოს შორის უთანხმოებაა.

კლაუდიო ლოტიტო: „დერბის მნიშვნელობაზე საუბარიც ზედმეტია. ეს მატჩი მართლაც ძალიან ბევრ რამე გადაწყვეტს, მაგრამ არა ყველაფერს. ამ შეხვედრით სეზონი არ მთავრდება და მთავარია, ეს გავითვალისწინოთ. რაც შეეხება ჩვენს სამომავლო გეგმებს, ამაზე ჩემპიონატის დასრულების შემდეგ დაწვრილებით ვიმსჯელებთ. ერთადერთი იმის თქმა შემიძლია, რომ გუნდში გარანტირებული ადგილი არც ერთს აქვს. ყველა თავისი მუშაობისა და შედეგების მიხედვით შეფასდება“.

რომაელთა ემოციურ თავდამსხმელს, პაოლო დი კანიოს კი დერბისადმი სხვაგვარი დამოკიდებულება აქვს. ეს მისთვის სეზონის მთავარი მატჩია. მიუხედავად ამისა, სავარაუდოდ იგი ძირითად შემადგენლობაში არ იქნება — ტომაზო როკის მეწყვილეობას ფაბიო ბაცანი ან რობერტო მუცი გაუწევენ. და საერთოდ, დი კანიო წლეულს საკმაოდ მცირე დროს ატარებს მინდორზე და ამის გამო უკმაყოფილებას არც მალავს.



პაოლო დი კანიო რომაული დერბისთვის უკვე ემზადება

„პაოლოსა და მწვრთნელს შორის მართლაც გარკვეული უთანხმოებაა, მაგრამ ვითარებას ყველანი გაგებით უნდა მოვეკიდოთ. ვინც ფსიქოლოგიური და ფიზიკური თვალსაზრისიც უკეთ არის მზად, მოედანზეც სწორედ ის გავა. დი კანიო დერბით ცხოვრობს და ეს მისთვის ყველაფერია. ასე რომ, წინ ძალიან ემოციური და მძიმე მატჩი გველის“ — დასძინა ბოლოს ლოტიტომ.

**გიორგი კაკაბაძე**

### ინგლისი

**პრემიერლიგა**
**გადადებული მატჩი**

**მანჩესტერი 1:3 ჩელსი**

1:0 ვან ნისტელროი (7), 1:1 ტიაგუ (17), 1:2 გუდიონსენი (61), 1:3 კოული (82)

**მანჩესტერი:** კეროლი, გ. ნევილი, ვ. ბრაუნი, რ. ფერდინანდი, მ. სილვესტრი, ფლეტჩერი (საა 72), როი კინი, სქოულზი, კ. რონალდო, ვან ნისტელროი, რუნი

**მწვრთნელი:** ალექს ფერგიუსონი

**ჩელსი:** კუდიჩინი, გ. ჯონსონი (იაროშიკი 72), რ. კარვალიუ, ჰუთი, გალასი, ჯერემი, მაკელელე, ლამპარდი, ტიაგუ, ჯ. კოული (გრანტი 90), გუდიონსენი (ნუნუ მორაიში 86)

**მწვრთნელი:** ჟოზე მაურინიუ

**გაფრთხილება:** კინი, ვან ნისტელროი, მაკელელე, ლამპარდი, გალასი

**მსაჯი:** პოლი

**67 832 მაყურებელი**

# მანჩესტერი საპატიო ყარაულში
## ჩელსი ოლდ ტრეფორდზეც დააფასეს



„ოლდ ტრეფორდმა“ ჩემპიონი „ჩელსი“ ტაშით გააცილა

**წლევანდელი** სეზონი ისე გაილია, რომ სერ ალექს ფერგიუსონმა ერთხელაც ვერ დაამარცხა ჟოზე მაურინიუ. ასე მოხდა გუშინწინაც: „ოლდ ტრეფორდზე“, სადაც ჩემპიონმა „ჩელსიმ“ ამჯერად 3:1 მოუგო „მანჩესტერ იუნაიტედს“.

ამ თამაშის შემდეგ ფერგიუსონმა თქვა, რომ „ჩელსისთან“ გასაყოფი ალარაფერი ჰქონდა, თუმცა, ლონდონელებს მაინც უნდოდათ, რომ თამაში ნამდვილი გამოსულიყო. თამაში კი ნამდვილი რომ იყო, ამას გოლების სილამაზეც მოწმობს.

რუუდ ვან ნისტელროის გამხსნელი გოლი კუთხურს მოჰყვა და ძალიან ლამაზი იყო — „ჩელსის“ მცველებს ძველებურად რომ ებრძოლათ მეორე სართულზე, ეგებ ეს ბურთი არც გასულიყო. თუმცა, არც ასე იყო საქმე: რობერტ ჰუთი რამდენჯერმე თავგანწირვით ჩაუწვა მასპინძელთა დარტყმებს, რიკარდუ კარვალიუმ კი კარის წინ ააცალა ბურთი ვან ნისტელროის.

ტიაგუს გამთანაბრებელიც მეტად მოხდენილი იყო: 30 იარდიდან შეფრინდა როი კეროლის კარში. მერე კი ეიდურ გუდიონსენმა გადაუგდო წაწოლილ მეკარეს ბურთი თავზე და „ჩელსიც“ დაწინაურდა. ფერგიუსონის თქმით, თამაშის ბედიც აქ გადაწყდა — ჯო კოულის მესამე თამაშგარედან გავიდა, თუმც თავი არავის გამოუდია.

საერთოდ, თამაში დიდი ურთიერთპატივისცემით წარიმართა. მატჩის წინ „მანჩესტერი“ საპატიო ყარაულში დაუდგა „ჩელსის“, როგორც ჩემპიონს. „ოლდ ტრეფორდიც“ შეკრული გრძნობებით შეეგება თამაშს, ზოგი უს[illegible], ზოგი კი ტაშით ეგებებოდა „ჩელსის“.

„მაინც კმაყოფილი [illegible] — თქვა ფერგიუსონმა, — [illegible] ვითამაშეთ“.

ახლა „ჩელსის“ 94 ქულა აქვს და „მანჩესტერის“ პრემიერლიგურ რეკორდს ამხობს: 11 წლის წინ, „იუნაიტედმა“ 92 ქულით მოიგო ჩემპიონობა. „ჩელსიმვე“ დაამხო „მანჩესტერის“ სხვა რეკორდიც: 29 მოგებით, ფერგის გუნდის ხუთი წლის წინანდელ შედეგს ერთით გადაუსწრო.

ალბათ, ამიტომაც თქვა ჟოზე მაურინიუმ: „ეს საუცხოოა. დიდებულ სტადიონზე, სადაც სერ ალექსი ბატონობს და სადაც ჯენტლმენური თამაშის მაგალითს გთავაზობენ, რომ არ მიბაძო, შეუძლებელია“.

**ირაკლი გამყრელიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ჩელსი** | 37 | 29 | 7 | 1 | 71:14 | 94 |
| არსენალი | 36 | 24 | 8 | 4 | 79:34 | 80 |
| მანჩესტერი | 37 | 21 | 11 | 5 | 56:25 | 74 |
| ევერტონი | 36 | 18 | 7 | 11 | 43:36 | 61 |
| ლივერპული | 37 | 16 | 7 | 14 | 50:40 | 55 |
| ბოლტონი | 37 | 15 | 10 | 12 | 46:42 | 55 |
| მიდლსბრო | 37 | 14 | 12 | 11 | 52:45 | 54 |
| სიტი | 37 | 13 | 12 | 12 | 46:38 | 51 |
| ტოტენჰემი | 37 | 14 | 9 | 14 | 47:41 | 51 |
| ასტონ ვილა | 37 | 12 | 11 | 14 | 44:50 | 47 |
| ჩარლტონი | 37 | 12 | 9 | 16 | 40:56 | 45 |
| ნიუკასლი | 37 | 10 | 13 | 14 | 46:56 | 43 |
| ბირმინგემი | 37 | 10 | 12 | 15 | 38:45 | 42 |
| ბლექბერნი | 37 | 9 | 14 | 14 | 32:43 | 41 |
| ფულემი | 37 | 11 | 8 | 18 | 46:60 | 41 |
| პორტსმუთი | 37 | 10 | 9 | 18 | 43:57 | 39 |
| ნორვიჩი | 37 | 7 | 12 | 18 | 42:71 | 33 |
| საუთჰემპტონი | 37 | 6 | 14 | 17 | 44:64 | 32 |
| კრ. პალასი | 37 | 7 | 11 | 19 | 39:60 | 32 |
| ვესტ ბრომვიჩი | 37 | 5 | 16 | 16 | 34:61 | 31 |

# 19 სექტემბრის ტერაქტი
## ესეც ასე: ევერტონი ლივერპულზე ზევითაა

*ამგვარად, „ევერტონი“ მეოთხე ადგილზეა, რაც იმას ნიშნავს, რომ მომავალ სეზონში ლივერპულის ეს გუნდი ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს*



დევიდ მოიესმა „ევერტონთან“ ერთად ჯერარნახულ წარმატებას მიაღწია

**ამ საოცნებო** შედეგამდე კი ევერტონელები დევიდ მოიესმა მიიყვანა, მწვრთნელმა, რომელიც თავს გადახდენილი კამპანიით, ბუნებრივია, კმაყოფილი იქნება, მისმა გუნდმა ხომ სეზონის განმავლობაში ფრიად ზეწოლასა და კონკურენციას გაუძლო, თანაც, უწინარესად თანაქალაქელი „ლივერპულისგან“. სხვათაშორის, „ევერტონი“ ჯერ კიდევ 19 სექტემბერს რომ მოხვდა პრემიერლიგის ზედა ოთხეულში, მერე მეოთხე პოზიციის დაბლა აღარ დაშვებულა.

დღეს მოიესი ჯერაც დასასრულებელ ჩემპიონატზე უკვე წარსულ დროში ლაპარაკობს:

„სეზონის განმავლობაში სულ ერთხელ თუ ორჯერ შემეპარა ეჭვი, რომ ჩემპიონთა ლიგაში მოვხვდებოდით. საქმე ისაა, რომ იმ პერიოდებში რამდენიმე თამაში ზედიზედ წავაგეთ, თან ჩემთვის მოულოდნელად გუნდმა ცუდადაც ითამაშა, მაგრამ ჩვენდა ბედად იმ ტურებში კონკურენტებიც მარცხდებოდნენ და ამან შანსი შეგვინარჩუნა. მეტიც, რაც მეოთხეზე დავმკვიდრდით, კონკურენტთაგან ერთმაც ვერ მოახერხა ჩვენს ზემოთ ასვლა. იყო რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ისინი ერთ ქულამდე მოგვიახლოვდნენ, მაგრამ მეტი ველარ შეძლეს.

სწორედ ეს გახლდათ „ევერტონის“ დიდი ოპტიმიზმის საბაბი. ყოველი ტურის შემდეგ ჩვენ ვგრძნობდით და ვამბობდით, რომ მეოთხე პოზიციის შენარჩუნება ერთი კვირითაც შეგვიძლია, ხოლო ახლა, როდესაც ეს კვირები უკვე გავიდა, გამოჩნდა, რომ კონკურენტებმა ვერ გვაჯობეს.“

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, „ევერტონს“ მთელი სეზონის განმავლობაში თანაქალაქელი „ლივერპული“ უტრიალებდა შორიახლო. ამ ორი გუნდის საქვეყნოდ ცნობილი ქიშპი ხომ თითქმის საუკუნეს ითვლის და ბუნებრივია, იგი მიმდინარე სეზონშიც არ შენელებულა — „ლივერპული“ ყველა ღონეს ხმარობდა, „ევერტონისთვის“ თავისი უპირატესობა რომ დაემტკიცებინა, მაგრამ აი, აწურება „პრემიერშიფი“ და ცხრილი ყველაფერს მკაფიოდ ბრძანებს.

მოიესი განაგრძობს: „პერიოდულად ფორმის მუდმივად ერთ დონეზე შენარჩუნება და თანმიმდევრულობა ძნელდებოდა, მაგრამ მაინც შევძელით შეგვესრულებინა ის, რაც ერთი ხნის წინ ბიჭებს ვუთხარი — მეტოქეები ერთიმეორეს მიყოლებული დიდი ნაბიჯებით უნდა ჩამოვიტოვოთ-მეთქი. ახლა დახეთ, როგორ გამოდის, დარჩენილი თამაშები რომ მოვიგოთ, სრულიად შესაძლებელია ცხრილში მნიშვნელოვანი უპირატესობა მოვიპოვოთ ანუ კონკურენტებს შვიდირვა-ათი ქულითაც გავუსწროთ და შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ მეოთხე ადგილზე იოლად გავედით.“

ერთი სიტყვით, „ევერტონი“ სეზონს ლაღად ასრულებს და უკვე მომავალზე ფიქრობს. სხვათაშორის, ამბობენ, რომ საზაფხულოდ, მოიესის განკარგულებაში 30 მილიონი გირვანქა იქნება და მწვრთნელი ამ თანხის განაწილებით შეეცდება ახალი მოთამაშეების შემატებას.

**პაპუნა ძიდია**



ლუიშ ფიგუ მშვენიერ მეუღლესთან ერთად შესაძლოა, იაპონიაში წავიდეს

# დახეთ, ფიგუ გაიაფებულა

**ლუიშ ფიგუს** შეძენით იაპონური „ურავა რედ დაიმონდსი“ დაინტერესებულა.

როგორც ერთ-ერთ იქაურ გაზეთში, კერძოდ კი „ნიპონ სპორტს ჰოჯიში“ ვკითხულობთ, ზემოხსენებული გუნდის უფროსობა პორტუგალიელის ხელში ჩასაგდებად უკან არაფერზე დაიხევს და „რეალის“ დასახელებულ ნებისმიერ თანხას გადაიხდის. „სამეფო კლუბი“ კი ფიგუს, იმავ „სპორტს ჰოჯის“ მონაცემებით, 2 მილიონ ევროდ, ანუ 280 მილიონ იაპონურ იენად აფასებს. დაგვეთანხმებით, ფიგუს დონის ფეხბურთელის შესაძენად ამ მიზერული თუ სასაცილო თანხის გადახდას „ურავა რედსი“ ნამდვილად არ დაინანებს, თანაც პორტუგალიელს წელიწადში ხელფასად 500 მილიონ იენს ანუ 3,6 მილიონ ევროს სთავაზობს.

ამომავალი მზის ქვეყნიდან მოსული ეს ცნობა „ურავა რედსის“ პრეზიდენტმა მოტოაკი ინუკაიმაც გაამყარა. „ვიცით, რომ მადრიდის „რეალი“ სამომავლოდ ან ფიგუს, ან დევიდ ბექემს დაემშვიდობება. კარგი იქნება, თუ ფიგუს შევიძენთ, ეს არა მარტო გუნდს გააძლიერებს, არამედ იაპონურ ჯეი ლიგასაც უდიდეს პოპულარობას შესძენს“.

**ლადო ხომერიკი**



ფრანც ბეკენბაუერმა (მარჯვნივ) თავისი იდეა საფეხბურთო კავშირს გაანდო

# ბეკენბაუერს გაზრდა უნდა

## კაიზერ ფრანცს ოპონენტები გამოუჩნდნენ

**ფრანც ბეკენბაუერმა** გერმანიის საფეხბურთო კავშირს ბუნდესლიგაში გუნდების რაოდენობის ოცამდე გაზრდისკენ მოუწოდა — ესპანეთში, იტალიასა, ინგლისსა და საფრანგეთში სწორედ ასეა და მათ უნდა მივბაძოთო, ამტკიცებს „კაიზერ ფრანცი“.

„ჩვენს გარდა, ევროპის ყველა დიდი საფეხბურთო ქვეყნის ჩემპიონატში ოცი გუნდი თამაშობს — თქვა ბეკენბაუერმა — გერმანიაში კი, მიუხედავად იმისა, რომ აქ მოსახლეობა მეტია, რატომღაც თვრამეტგუნდიანი ლიგაა“.

„კაიზერ ფრანცის“ იდეას ბევრი არ ეთანხმება. მაგალითად, „ბაიერნის“ მწვრთნელმა ფელიქს მაგათმა განაცხადა: „ისედაც საკმაო პრობლემები გვაქვს. ნაკრების ფეხბურთელები გადატვირთული კალენდრის გამო სათანადოდ ველარ ემზადებიან და გუნდების რაოდენობის გაზრდა, ვითარებას ბევრად გაართულებს“.

ბუნდესლიგიდან როსტოკის „ჰანზა“ გავარდა, რომელიც ყოფილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელია და ზოგიერთები ფიქრობენ, რომ რაოდენობას ოცამდე თუ გაზრდიან, აღმოსავლეთგერმანული კლუბები ელიტაში უფრო მეტი იქნებიან.

„ჰამბურგის“ სპორტული დირექტორი დიტმარ ბაიერსდორფერი: „ამ საკითხში მთავარი ბუნდესლიგაში გუნდების ოდენობა კი არ არის, არამედ ის, რომ აღმოსავლეთ გერმანიის კლუბებს ფინანსური პრობლემები აქვთ“.

გლზენკირხენის „შალკეს“ მწვრთნელი რალფ რანგნიკი: „ჩვენ შეგვიძლია ბუნდესლიგის „გაბერვა“, მაგრამ მაშინ გერმანიის ნაკრებმა ამხანაგური მატჩები უნდა შემცირობ“.

**ვაჟა ხუციშვილი**

# კლოზეს ღირსების ორდენი

**ბრემენის** „ვერდერის“ თავდამსხმელი მოროსლავ კლოზე გერმანიის ოლიმპიური კომიტეტიდან სპეციალურ ჯილდოს მიიღებს, მოედანზე ღირსეული საქციელისთვის.

კლოზემ ამასწინათ, ბილეფილდის „არმინიასთან“ შეხვედრისას გამოიჩინა თავი, მიუხედავად იმისა, რომ მეტოქე მათიას ჰაინმა ვერდერელი საჯარიმოში საკმაოდ სახიფათო ვარდნით შეაჩერა, კლოზემ მსაჯს განუცხადა, წესების დარღვევას ადგილი არ ჰქონიაო. არბიტრმაც პენალტის დანიშვნა და ჰაინის გაძევება გადაიფიქრა.

„წლეულს, ბუნდესლიგაში ფეხბურთელთა სიმულაციის გამო ბევრჯერ შევწუხდით — მოთამაშეები ათასნაირი მსახიობური ხერხებით ცდილობდნენ, მსაჯები თავიანთ სიმართლეში და მეტოქეს უხეშობაში დაერწმუნებინათ. მიროსლავ კლოზეს საქციელი კი აბსოლუტურად საპირისპიროა. ის ღირსეული პიროვნებაა და ამისთვის ჯილდოს იმსახურებს“ — განაცხადა ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენელმა.

**ლადო ხომერიკი**

# ზაგალო გაჭრეს და ოთხ საათში გაკერეს

**ბრაზილიის** ნაკრების ყოფილ მწვრთნელ მარიო ზაგალოს კუჭ-ნაწლავზე ოპერაცია გაუკეთეს და კლინიკა „სამარიტანის“ ექიმის განცხადებით, ახლა პაციენტი თავს კარგად გრძნობს.

ოპერაციას ოთხი საათი დასჭირდა და გართულებების გარეშე ჩაიარა. ჯერჯერობით უცნობია, ზაგალოს როდის გამოწერენ. მისმა შვილმა პაულომ თქვა, ვიმედოვნებ, მამაჩემი სამუშაოს მალე დაუბრუნდებაო.



შეგახსენებთ, რომ მარიო ზაგალო ამჟამად ბრაზილიის ნაკრებში კარლოს ალბერტო პარეირას თანაშემწეა, სავადმყოფოში კი ერთი კვირის წინ გააქანეს.

74 წლის მარიო ზაგალო ერთადერთი კაცია, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონი ოთხჯერ გახდა. ორჯერ (1958, 1962), როგორც ფეხბურთელი, ერთხელ (1970) თავად იყო მთავარი მწვრთნელი, 1994-ში კი — მწვრთნელის თანაშემწე.

**ვაჟა ხუციშვილი**

# რეკობას გენუაში ელიან

**ურუგვაელი** გამთამაშებელი ალვარო რეკობა მომავალ სეზონში შესაძლოა, „სამპდორიაში“ აღმოჩნდეს. გენუელებს, სამხრეთამერიკელის ხელში ჩაგდება ძალიან უნდათ, მაგრამ ეს არც ისე მარტივი იქნება, რაც კლუბის ხელმძღვანელობასაც კარგად ესმის.

„რეკობას დიდი სიამოვნებით დავიმატებდით, მაგრამ არა მგონია, „ინტერი“ მას მარტივად შეელიოს, თუმც ბევრი რამ იმაზეა დამოკიდებული, შევძლებთ თუ ვერა, ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებას. ასევე შემიძლია გითხრათ, რომ მომავალ ზაფხულს რაიმე დიდ ტრანსფერებს არ ვგეგმავთ, რადგან კლუბში უკვე ბევრი ფული ჩავდე“ — თქვა „სამპდორიას პრეზიდენტმა რიკარდო გარონემ.

გენუელთა სპორტული დირექტორი ბეპე მაროტა კი უფრო ოპტიმისტურად არის განწყობილი. ალბათ იმიტომ, რომ რეკობა აშკარად არ შედის რობერტო მანჩინის გეგმებში და ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის შანსი კვლავ მცირე აქვს.



ალვარო რეკობას ფიქრის დრო არა აქვს, მას თამაში უნდა

ბეპე მაროტა: „ჩვენ მართლაც ძალიან მოგვწონს რეკობა და მისი გადაბირება გვინდა. გუნდის თავკაცი ვალტერ ნოველინო კარგად იცნობს და აფასებს ალვაროს. ჩემი აზრით, თუ ჩემპიონთა ლიგის საგზური მოვიპოვეთ, „ინტერთან“ შეთანხმებას შევძლებთ და რეკობაც „სამპდორიას“ მაისურას მოირგებს“.

აქვე შეგახსენებთ, რომ ალვარო რეკობას გენუელთა ამჟამინდელ თავკაც ვალტერ ნოველინის გუნდში აქამდეც უთამაშია — 1999 წელს იგი ნახევარი სეზონით „ვენეციაში“ იყო განათხოვრებული და ეს პერიოდი ურუგვაელმა ბრწყინვალედ ითამაშა. მომავალ ევროთასზე „სამპდორია“ „უდინეზეს“ სტუმრობას და ძალიხაღავლიანის ვინაიდან მოაწყნელოვან წილად ამ მატჩზეა დამოკიდებული. ამჟამად ორივე გუნდს თანაბარი ქულები აქვთ.

**გიორგი კაკაბაძე**



კანის კინოფესტივალზე დევიდ ბექემზე გადაღებულ ფილმსაც უჩვენებენ

# REAL

## ერთი დევიდი და ხუთი სიუჟეტური ხაზი

**დევიდ ბექემის** „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ მადრიდის „რეალში“ გადასვლის ამბავი მალე ფილმად გადაღებული ხელახლა დატრიალდება კაცობრიობის წინაშე — მთავარ როლს თავად ინგლისის ნაკრების კაპიტანი შეასრულებს. ჟანრის მიხედვით დოკუმენტურ დრამაში იქნებიან ასეთი პერსონაჟები: ზინედინ ზიდანი, რონალდო და რაული, მაგრამ ფილმის მთავარი ვარსკვლავი, ცხადია, ბექემი იქნება.

საინტერესოა, რომ ამ პროექტის შესახებ საზოგადოებას კანის კინოფესტივალზე აცნობეს და იქვე, რივიერაზე, ფეხბურთელის უშველებელი პლაკატი გამოფინეს. რეკლამებში იმეორებენ, რომ მაყურებელი იხილავს სასეირო ისტორიას, რომელშიც მოთხრობილი იქნება „ყველაფერი დევიდ ბექემის შესახებ“. იდეის ავტორები იმედოვნებენ, რომ ვარსკვლავის პოპულარობა მათ ნახევლავს მთელ დედამიწაზე სარფიანად გაყიდის.

აღსანიშნავია ისიც, რომ ფილმში იქნება ხუთი სიუჟეტური ხაზი, რომლებშიაც ნახევრათავენ „რეალის“ იაპონელი, ნიუ იორკელი, კარაკასელი, მადრიდელი და სენეგალის ერთ-ერთი სოფლის მკვიდრი ქომაგების ამბებს. იაპონურ ხაზში, მაგალითად, ბექემზე გადარეული სკოლის მოსწავლე გოგონა თმას ზუსტად მასავით შეიჭრის და კარავის მის ქვეყანაში ნახვლისას, გაცნობას აიკვიატებს, თუ რა მოხდება მერე...

ფილმის სათაური REAL.

**პაპუნა კედია**

# აი, ამბავი!
## რონალდო ცოლს ეყრება



რონალდოს დანიელა ჩიკარელისთან პრობლემები შეექმნა

**მოგეხსენებათ,** მადრიდის „რეალის" ბრაზილიელ ფორვარდ რონალდოს, მომხიბვლელი მოდელი დანიელა ჩიკარელი ცოლად ახალი მოყვანილი ჰყავს, მაგრამ თუ ესპანურ მედიას ვერწმუნებით, მათ სიამტკბილობას დიდი ხანი არ უწერია და ისინი ერთმანეთს მალე გაშორდებიან.

რაშია საქმეო, იკითხავთ, ალბათ. რაში და, თურმე დანიელა ორშაბათს, დევიდ ბექჰემის 30-ე დაბადების დღეზე არ მისულა, რონალდო კი ერთ-ერთ საპატიო სტუმრად იყო მიწვეული მეუღლესთან ერთად.

იქვე გახლდნენ ლუიშ ფიგუ, რობერტო კარლოსი, რაული, ზინედინ ზიდანი, მაიკლ ოუენი, ივან ელგერა ანუ „რეალის" ნალები შემადგენლობა. ცხადია, მწვრთნელი ვანდერლეი ლუშემბურგოც, ავსტრალიელი სუპერმოდელი ელა მაკფერსონი, ბრიტანელი კინოვარსკვლავი ლიზ ჰარლი. მოკლედ ელიტა.

ყველა ზემოჩამოთვლილ პიროვნება, ბექჰის დღეობაზე მეუღლეებთან ერთად გახლდათ და მათ გვარიანადაც მოილხინეს, რონალდო კი მარტოსულივით იყოო, წერს გუშინდელი მადრიდული „ასი".

**ლადო ხომერიკი**

# მანჩინი არაკაცია
## ფონტანამ მწვრთნელი კინაღამ გალახა



ალბერტო ფონტანა

**მილანის** „ინტერის" სათადარიგო მეკარემ ალბერტო ფონტანამ მოულოდნელი და, შეიძლება ითქვას, სკანდალური განცხადება გააკეთა — ვეტერანმა კარის დარაჯმა „ნეროაძუროს" თავკაცი რობერტო მანჩინი გალანძღა და არაკაციც კი უწოდა. საქმე ისაა, რომ ფონტანა მანჩინის საქციელითა და განცხადებით უკმაყოფილოა.

„თანაგუნდელებს რომ არ გავეჩერებინე, შეიძლება, მასთან მეჩხუბა კიდეც. უბრალოდ, მეტის მოთმენა აღარ შემიძლია. მანჩინის უკვე არაერთხელ ვუთხარი, რომ ძალიან ხშირად, უმიზეზოდ აკრიტიკებს მეკარეებს და შესაბამისად, მეც. უსიამოვნება ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ მოგვივიდა, მაგრამ მას არასდროს უცდია ნორმალური ურთიერთობის აწყობა. არ უარვყოფ, რომ შეიძლება, ხშირად ძირითადში ადგილს არ ვიმსახურებ და ხასიათიც იდეალური არ მაქვს, თუმც მანჩინის ეს ერთხელაც არ უთქვამს და არც ახსნა უცდია. მას ასეთი რაღაცეების გაგება უჭირს. რობერტო მანჩინი გათამამებული ბავშვია, რომელსაც საკუთარი აჩრდილისაც კი ეშინია და სხვისი დახმარების გარეშე, არაფრის კეთება შეუძლია" — განაცხადა გოლკიპერმა.

ალბერტო ფონტანამ „ინტერიდან" წასვლა უკვე გადაწყვიტა.

**გიორგი ძაძაბაძე**



# პასარელა გაუშვეს

**ბრაზილიურ** „კორინთიანსში" არგენტინელი დანიელ პასარელას სამწვრთნელო საქმიანობას წერტილი დაუსვეს — გუშინ კლუბის თავკაცობამ, კერძოდ კი პრეზიდენტმა ალბერტო დუალიბმა პასარელა დაითხოვა.

დანიელ პასარელა „კორინთიანსში" სამუშაოდ მარტში მივიდა და ქომაგებსაც იმედი ჰქონდათ, გამოცდილი მწვრთნელი საპატიო ჯილდოებს მოგვიტანსო, მაგრამ...

რატომ დაითხოვეს პასარელა? მოთმინების ფიალა გასულ კვირას, „სან პაულუსთან" მატჩის მერე აივსო, როცა „კორინთიანსი" შინ 1:5 განადგურდა.

მის შემცვლელად კი ბრაზილიის ეროვნული გუნდის ყოფილ თავკაც ემერსონ ლეაოს მოიაზრებენ, რომელიც ხელფასად თვეში 270 ათას ევროს მიიღებს.

**ლადო ხომერიკი**

# ოლამ ესიენი დაამუხრუჭა

**„ლიონის"** პრეზიდენტმა ჟან-მიშელ ოლამ უარყო ცნობა, თითქოს მიკაელ ესიენი „ჩელსიში" გადადის.

„ჩვენი გუნდის ნახევარდაცვა ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესოა — ჩვენ გვყავს მამადუ დიარა, მიკაელ ესიენი და ჟუნინიო. მათ გასხვისებას არ ვაპირებთ. ერთი სიდნეი გოვუმ თქვა, წასვლა მინდაო და სულ ესაა. მხოლოდ მას ვუშვებთ. ვადასტურებ, „ჩელსიმ" მართლაც მოგვმართა ესიენის თაობაზე, მაგრამ ხელცარიელი გავისტუმრეთ. მზად ვარ, მიკაელ ესიენის აგენტს მისი კლიენტის კონტრაქტის გახანგრძლივებაზე ვესაუბროო" — განმარტა ოლამ.

ფაქტი თავად ესიენის აგენტმა, ფაბიენ პივეცომაც დაადასტურა, სამი კლუბი („მანჩესტერი", „არსენალი" და „ჩელსი") იყო დაინტერესებული, თუმც ამ საქმიდან არაფერი გამოვიდაო.

**ვაჟა ხუციშვილი**



მიკაელ ესიენი

## ფეხბურთის რუკასთან



**ინგლისური** „ჩელსის" კაპიტანმა ჯონ ტერიმ გუშინ ოპერაცია გაიკეთა. შეგახსენებთ, რომ ფეხის ტრავმა მას ბოლო რამდენიმე თვის მანძილზე აწუხებდა და ექიმებმა ოპერაციის გაკეთება გადაწყვიტეს. შესაბამისად, ტერი ვერ ითამაშებს „ნიუკასლთან" მატჩში, ასევე გამოტოვებს კორეისა და აშშ-ს ტურნეებს. სეზონის ბოლოს კი ამგვარ ოპერაციებს ფრენკ ლამპარდი და რიკარდუ კარვალიუც გაიკეთებენ.

** იტალიური „ლივორნოს" მმართველმა ალდო სპინელიმ აღნიშნა, რომ გუნდისა და სერია A-ს ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირი კრისტიანო ლუკარელი მომავალ სეზონსაც მშობლიურ კლუბში გაატარებს. გარდა ამისა, პოსტზე დარჩება ტოსკანელთა თავკაცი რობერტო დონადონიც.**

**ფრანგული** „ბორდოს" ფორვარდი ჟან-კლოდ დარშეივილი მომავალ სეზონს თურქეთში გაატარებს. იგი რომელიმე სტამბოლურ კლუბში გადაბარგდება — 30 წლის თავდამსხმელით „ფენერბაჰჩე", „გალათასარაი" და „ბეშიქთაში" არიან დაინტერესებულნი. ყველაზე მეტად კი დარშევილის შეძენა „ფენერსა" და მის თავკაც კრისტოფ დაუმს სდომებიათ, თავდასხმაში ნიკოლა ანელკას შევუწყვილებთო.

**ესპანურ პრესაში გავრცელებული ჭორების თანახმად, მადრიდის „რეალი" „მანჩესტერის" მცველ რიო ფერდინანდით დაინტერესდა და მის შეძენას აპირებს. მოგეხსენებათ, 26 წლის ფეხბურთელს „წითელ ეშმაკებთან" კონტრაქტი ჯერ არ გაუხანგრძლივებია და მას „ჩელსიც" უტრიალებს.**

**იტალიური** „ლაციოს" გოლკიპერი მატეო სერენი დამდეგ ზაფხულს კლუბს გამოიცვლის. მას სათადარიგოთა სკამზე ჯდომა არ ეპიტნავება, დედაქალაქელები კი ძირითად მეკარედ ანჯელო პერუცის მიიჩნევენ. „ჩემი აზრით, მატეო ყველაზე კარგად მეორე რომაულ კლუბ „რომას" მოერგება" — თქვა სერენის აგენტმა დარიო კანოვამ.

**ინგლისის ნაკრებისა და „არსენალის" ყოფილმა კაპიტანმა ტონი ადამსმა აღნიშნა, რომ ჩემპიონთა ლიგაში მხოლოდ ეროვნული ჩემპიონატების გამარჯვებულები უნდა თამაშობდნენ. „მეც ამ აზრს ვემხრობი. ეს ყველანაირად უკეთესი იქნება. ფეხბურთისთვის ზედმეტი კომერციული სახის მიცემა არაფერ კარგს არ მოგვიტანს და მჯერა, უეფა ამას მალე მიხვდება" — განმარტა ადამსმა.**

**ფრანგულ** „ლიონს" „იუვენტუსის" ფორვარდის დავიდ ტრეზეგეს შეძენა სურს. როგორც ამბობენ, ლიონელთა უფროსობა მზად არის, 16 მილიონი გირვანქა გაიღოს, თუმც ტურინელები სულ მცირე, 20 მილიონ გირვანქას ითხოვენ. „ბებერი ქალბატონის" გენერალურმა დირექტორმა ლუჩანო მოჯიმ ცოტა ხნის წინ ისიც თქვა, ტრეზეგესთან მალე ახალ კონტრაქტს გავაფორმებთო.

**იტალიურმა „კიევომ" ჩემპიონატის დასრულებამდე ცოტა ხნით ადრე, მოულოდნელად გამოიცვალა მწვრთნელი — მარიო ბერეტა ცუდი შედეგების გამო დაითხოვეს და სეზონის ბოლომდე გუნდი მის თანაშემწე მაურიციო დანჯელოს ჩააბარეს. შეგახსენებთ, რომ ვერონელები სერია A-დან გავარდნის ერთ-ერთი კანდიდატები არიან.**

**ინგლისური** „მანჩესტერის" რიგებში გუნდის ჩინელ ლეგიონერ დონ ფანჟუს დებიუტი მალე შედგება. იგი აზიურ ტურნეში კლუბის სასტარტო შემადგენლობაში მოხვდა. „ძალიან ბედნიერი ვარ, რომ „მანჩესტერის" წითელ მაისურას სამშობლოში მოვირგებ" — თქვა ფანჟუმ.

**ჰოლანდიურმა „ფეიენოორდმა" ეგვიპტური „ალ აჰლის" მეკარე შერიფ ეკრამი გადაიბირა. როდერდამელები 22 წლის გოლკიპერზე დიდ იმედებს ამყარებენ. შეთანხმების ფინანსური დეტალები ჯერჯერობით უცნობია.**

**ესპანური** „ბილბაოს" მცველ ასიერ დელ ორნოს „ჩელსი" არ ეშვება. ლონდონელებმა ამ ტრანსფერისთვის 12 მილიონი გირვანქა უკვე გაამზადეს, თუმც ბასკური კლუბის რეაქცია ჯერჯერობით უცნობია.

**ბრაზილიური „სან პაულუს" მცველ სისინიოთი რამდენიმე ევროპული კლუბია დაინტერესებული, განსაკუთრებით ინგლისური „ბირმინგემი" და ფრანგული „სენტ ეტიენი". გარდა ამისა, სისინიოს „შალკე", „პორტუ" და „ბეტისიც" უტრიალებენ.**

**ჰოლანდიური** „ნაიმეგენი" „ასტონ ვილას" სარეზერვო გოლკიპერ სტეფან პოსტმათი დაინტერესდა. იგი კლუბის ხელმძღვანელობას დენის გენტელაარის შემცვლელად ესახება, რომელიც თურქეთში გადასვლას აპირებს.

Copa Toyota Libertadores '2005

## ლიბერტადორესის თასი 2005

**I ჯგუფი. V ტური**

**ამერიკა დე კალი (კოლუმბია) 0:1 ლიბერტადი (პარაგვაი)**

**ატლეტიკო პარანენსე (ბრაზილია) 0:4 ინდეპენდიენტე მედელინი (კოლუმბია)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატლეტიკო პარანენსე | 5 | 3 | 1 | 1 | 8:7 | 10 |
| ამერიკა დე კალი | 5 | 3 | 0 | 2 | 7:6 | 9 |
| ინდეპენდიენტე მედელინი | 5 | 2 | 1 | 2 | 10:8 | 7 |
| ლიბერტადი | 5 | 1 | 0 | 4 | 7:11 | 3 |

# ფერნანდო, შენ ლეგენდა ხარ!

## ამაყი იეროს უარი გაერთიანებული ერების ორგანიზაციას



*წასვლის დრო მოვიდა — უთხრა ფერნანდო იერომ მისი ახლანდელი გუნდის, ინგლისური „ბოლტონის“ თავკაცებს და ახალ, ერთწლიან კონტრაქტზე უარი თქვა. მადრიდის „რეალისა“ და ესპანეთის ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა კარიერის დასრულება გადაწყვიტა, ეს ამბავი გუშინდელ „სარბიელშიც“ გაუწყეთ, ქვემოთ კი შემოგთავაზებთ იმ ინტერვიუს, რომელიც მადრიდულ AS-ში დაიბეჭდა და რომელშიც ფერნანდო იერო მის 18-წლიან საფეხბურთო ცხოვრებაზე მოგვითხრობს*

**— „ბოლტონის“ შემოთავაზებაზე, კონტრაქტის ერთი წლით გახანგრძლივებაზე უარი თქვით. მოკლედ, ფეხბურთიდან მიდიხართ...**

— ვფიქრობ, ეს გადაწყვეტილება დროულად მივიღე. იმასაც გეტყვით, რომ გამიჭირდა ასეთი ნაბიჯის გადადგმა. თუმცა ჩემს წარსულს თვალი გადავავლე და მივხვდი, რომ ფეხბურთში თავი ამოვწურე. მადლობელი ვარ, „ბოლტონს“ ნდობისთვის. იმისთვის, რომ ჩემი კარიერის მიწურულს ულამაზესი დღეები მაჩუქა.

**— როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი მომავალი, ის დღე, როცა ვარჯიშზე აღარ მიხვალთ?**

— ახლა ვერ გეტყვით. ეს მაშინ მკითხეთ, როცა ფერნანდო იერო ვარჯიშზე აღარ მივა. ის კი ვიცი, რომ ახალ ცხოვრებასთან შეგუება იოლი არ იქნება. 18 წელია ვთამაშობ, ამ ხნის მანძილზე ფეხბურთელის რეჟიმით ვცხოვრობდი და არასოდეს მიფიქრია, რა იქნებოდა მომავალში. ბოლო ორი წელია, „რეალიდან“ წამოსვლის მერეღა დავფიქრდი ამაზე. ჯერ მხოლოდ ის ვიცი, რომ ყველაფრისგან დავისვენებ და უმეტეს დროს ოჯახს დავუთმობ.

**— კარიერას პრემიერლიგაში, „ბოლტონში“ ასრულებთ. რას იტყვით ინგლისურ ფეხბურთზე?**

— მოხიბლული ვარ. არ მეგონა, რომ ფეხბურთში მრავლისმნახველ კაცს კიდევ თუ გამიკვირდებოდა რამე. ის დაუვიწყარი გარემო და საოცარი ქომაგობა, რასაც ინგლისურ სტადიონებზე ნახავთ, ენით აუწერელია. პრემიერლიგაში გატარებული დღეები მთელი ცხოვრება მეხსომება, აქ მე რაღაც სხვა შევიგრძენი.

**— ესპანელებმა ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ ინგლისელებისგან?**

— შაბათ-კვირას ინგლისი ფეხბურთით ცხოვრობს, აქ ფეხბურთის სურნელი იგრძნობა. ამის სწავლა შეუძლებელია, თუმცა ინგლისელებს ბევრ რამეში შეგვიძლია მივბაძოთ.

**— როდის მიხვდით, რომ ფეხბურთი თქვენი პროფესია იქნებოდა?**

— მაშინ, როცა ვისენტე კანტატორე ნახევარი საათი მესაუბრა და ამიხსნა, როგორია ფეხბურთელის ცხოვრება. კანტატორე, შეგახსენებთ, „ვალიადოლიდის“ მწვრთნელი იყო და სწორედ მან გამიკაფა გზა დიდი ფეხბურთისკენ. ჩემი მშობლიური ქალაქის, ველესის გუნდში, რეგიონულ ჩემპიონატში ვთამაშობდი. მორიგი მატჩის მერე შინ ვბრუნდებოდი, ქუჩაში სენიორ ვისენტე შემხვდა, რომელსაც თამაში უნახავს. მწვრთნელმა გამაჩერა და მითხრა: „ვალიადოლიდში“ გიწვევთ, ეს შენი შანსია, დღეიდან შენ უნდა დაამტკიცო, რისი მაქნისი ხარ“. მეც შანსი ხელიდან არ გავუშვი.

**— მერე იყო მადრიდის „რეალი“ და დაუვიწყარი 14 წელი...**

— „რეალის“ მაისურას რომ მოირგებ, შენ თავს აღარ ეკუთვნი. სამეფო გუნდი ფეხბურთელისგან ბოლომდე დახარჯვას მოითხოვს, მოდუნების საშუალებას არ გაძლევს. ის განვაწყობს დიდი ჯილდოების მოსაპოვებლად და ამიტომ, ვალდებული ხარ, ქომაგი გამარჯვებით გაახარო. როცა „რეალი“ იგებს, მადრიდელებს უზომოდ უხარიათ, როცა აგებს, უზომოდ წუხან. მოკლედ, შენ შეგიძლია უამრავი ადამიანის გახარება და იმედგაცრუებაც.

**— „ბოლტონში“ განსაკუთრებულ დამოკიდებულებას გრძნობთ? თქვენ ხომ „რეალისა“ და ესპანეთის ნაკრების კაპიტანი იყავით...**

— ყატარშიც და ინგლისშიც პატივს მცემდნენ, გამორჩეულად ინგლისში. „ბოლტონში“ დამხვდნენ უდიდესი პროფესიონალები და სუფთა ადამიანები. არ დამავიწყდება ის დღე, როცა ჩემმა ბოლტონელმა თანაგუნდელებმა გასახდელში მითხრეს: „ფერნანდო, შენ ლეგენდა ხარ!“

**— თქვენი თანაგუნდელები, როგორც ვიცით, „ბოლტონში“ დარჩენასა და კარიერის გაგრძელებას გთხოვდნენ...**

— „ბოლტონს“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას შევადარებდი, აქ თამაშობს ფრანგი, სენეგალელი, ტუნისელი, ფინელი, ებრაელი, ესპანელი და ამ გუნდში ყველა ერთმანეთის მეგობარია. ძნელი იყო ჩემი თანაგუნდელებისთვის უარის თქმა, მაგრამ ბიჭებმა გამიგეს და ამისთვის მათი დიდად მადლობელი ვარ.

**— თქვენ მადრიდის „რეალს“ და ესპანეთის ნაკრებს კაპიტნობდით. მოდით, ახლა ორიოდ სიტყვით ეროვნულ გუნდზეც გვითხარით...**

— 89-ჯერ მოვირგე ესპანეთის ნაკრების მაისურა და 89-ჯერვე ამაყი ვიყავი. ამაყი ვიყავი, როცა ჩემი ქვეყნის ჰიმნს ვუსმენდი.

**— თუმც ესპანეთის ნაკრებმა ვერც მსოფლიოს და ვერც ევროპის ჩემპიონატებზე წარმატებას ვერ მიაღწია...**

— თითქმის ყველა საკლუბო ჯილდოს ვფლობ, მაგრამ გულში ხინჯად ის მრჩება, რომ ესპანეთის ნაკრებთან ერთად ვერაფერი მოვიგე. არადა, კორეა-იაპონიის მუნდიალზე წარმატებასთან ახლოს ვიყავით. მართალი გითხრათ, აღარც მინდა იმის გახსენება, თუ როგორ უსამართლოდ აგვაბარგეს მსოფლიოს ჩემპიონატიდან.

**— რატომ არ გინდათ, რომ მწვრთნელობას მიჰყოთ ხელი?**

— მე მიყვარს ფეხბურთი, ფეხბურთი ჩემი ცხოვრებაა, მაგრამ მწვრთნელობა, არა, არ გამომივა. 24 საათი იფიქრო 25 კაცზე?! ამას მე ვერ შევძლებ.

*ფერნანდო იეროს ფეხბურთიდან წასვლამ მთელი ესპანეთი ალაპარაკა. მადრიდულმა AS-მა ამ დიდ ფეხბურთელზე აზრის გამოთქმა მის ყოფილ თანაგუნდელებს, მწვრთნელებს და დიეგო მარადონას სთხოვა.*

***რაული:*** *ფეხბურთის [illegible] -მა კაპიტანთა კაპიტანი [illegible] ყველაფერი ვალი(?) მადრიდის „რეალისა“ და ესპანეთის ნაკრებისთვის [illegible] ის ესპანური ფეხბურთის ისტორიის გამორჩეული ფიგურაა.*




***ვისენტე დელ ბოსკე:*** *ფერნანდოს ფეხბურთიდან წასვლა ესპანეთის ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელის კარიერის დასრულებას ნიშნავს. ის ყოველთვის იყო სამაგალითო მოთამაშე და ასევე არაჩვეულებრივი ადამიანი. არ ვიცი, მომავალში რა საქმეს მოჰკიდებს ხელს, მაგრამ ვისურვებდი, რომ ფერნანდო ფეხბურთში დარჩეს.*



***ხავიერ კლემენტე:*** *ფერნანდო იეროსთან ერთად ესპანეთის ნაკრებში ექვსი წელი ვიმუშავე. ის იყო ფეხბურთელი, რომელიც მოედანზეც და მის გარეთაც საქმეს მიიყოლებდა და რომელიც თავისი პროფესიონალიზმით მისაბაძი იყო თანაგუნდელებისთვის.*



***დიეგო მარადონა:*** *ფერნანდო იერო ესპანეთის საუკეთესო ფეხბურთელი იყო. მან უნდა იამაყოს საკუთარი კარიერით. მჯერა, რომ ახალ ცხოვრებაც ბედნიერი ექნება. ახლა რასაც ისურვებს, იმას გააკეთებს. მაგრამ ვურჩევ, მისი გამოცდილება და ნიჭი ისევ ფეხბურთს მოახმაროს.*






ფერნანდო იერომ სახელი, დიდება, ქომაგთა სიყვარული და ჯილდოები მადრიდის „რეალში“ მოიპოვა

სარბიელი და კროკი

# წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

### ინგლისი. პრემიერლიგა

**15 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 3 | ბირმინგემი-არსენალი | 3.3 | 3.3 | 2.05 | 1.64 | 1.26 | 1.26 |
| 18:00 | 5 | ბოლტონი-ევერტონი | 2.0 | 3.3 | 3.3 | 1.24 | 1.24 | 1.64 |
| 18:00 | 6 | ჩარლტონი-კრისტალ პალასი | 3.0 | 3.4 | 2.15 | 1.59 | 1.25 | 1.31 |
| 18:00 | 7 | ფულემი-ნორვიჩი | 3.0 | 3.3 | 2.15 | 1.57 | 1.25 | 1.3 |
| 18:00 | 8 | ლივერპული-ასტონ ვილა | 1.7 | 3.5 | 4.6 | 1.14 | 1.24 | 1.98 |
| 18:00 | 9 | სიტი-მიდლსბრო | 2.1 | 3.2 | 3.2 | 1.26 | 1.26 | 1.6 |
| 18:00 | 10 | ნიუკასლი-ჩელსი | 3.0 | 3.3 | 2.15 | 1.57 | 1.25 | 1.3 |
| 18:00 | 11 | საუთჰემპტონი-მანჩესტერი | 2.3 | 3.6 | 2.6 | 1.4 | 1.22 | 1.5 |
| 18:00 | 12 | ტოტენჰემი-ბლექბერნი | 1.6 | 3.6 | 5.0 | 1.1 | 1.21 | 2.09 |
| 18:00 | 13 | ვესტ ბრომვიჩი-პორტსმუთი | 1.6 | 3.6 | 5.0 | 1.1 | 1.21 | 2.09 |

### ინგლისი. ჩემპიონატი

**14 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15:15 | 600 | ვესტ ჰემი-იფსვიჩი | 2.2 | 3.3 | 2.9 | 1.32 | 1.25 | 1.54 |

**15 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15:00 | 601 | პრესტონი-დერბი | 2.2 | 3.3 | 2.9 | 1.32 | 1.25 | 1.54 |

### ინგლისი. I ლიგა

**12 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 602 | ქუნსდი-ბრენტფორდი | 2.0 | 3.3 | 3.3 | 1.24 | 1.24 | 1.64 |

**13 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 603 | ჰარტლპული-ტრანმერი | 2.35 | 3.2 | 2.75 | 1.35 | 1.26 | 1.47 |

### ინგლისი. II ლიგა

**14 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:15 | 604 | ლინკოლნი-მაკლსფილდი | 2.1 | 3.2 | 3.2 | 1.26 | 1.26 | 1.6 |

**15 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:15 | 605 | ნორთჰემპტონი-საუთენდი | 2.15 | 3.3 | 2.95 | 1.3 | 1.24 | 1.55 |

### ინგლისი. კონფერენსი

**14 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 606 | კარლაილი-სტივენეიჯი | 2.25 | 3.2 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.5 |

### შოტლანდია. პრემიერლიგა

**14 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 14 | დანდი-ინვერნესი | 1.95 | 3.3 | 3.3 | 1.22 | 1.22 | 1.64 |
| 18:00 | 16 | ჰიბერნიანი-აბერდინი | 2.05 | 3.1 | 3.2 | 1.23 | 1.24 | 1.57 |
| 18:00 | 17 | კილმარნოკი-ლივინგსტონი | 2.2 | 3.2 | 2.9 | 1.3 | 1.25 | 1.52 |
| 18:00 | 18 | რეინჯერსი-მიზერუელი | 1.15 | 6.0 | 12.0 | 1.0 | 1.04 | 4.0 |

**15 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 15 | ჰართსი-სელტიკი | 7.5 | 4.3 | 1.3 | 2.73 | 1.1 | 1.0 |
| 18:00 | 19 | დანდი იუნ.-დანფერმლაინი | 1.9 | 3.2 | 3.55 | 1.19 | 1.23 | 1.68 |

### გერმანია. I ბუნდესლიგა

**14 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:30 | 20 | ბაიერნი-ნიურნბერგი | 1.3 | 4.5 | 9.0 | 1.0 | 1.13 | 3.0 |
| 17:30 | 22 | ბოხუმი-შტუტგარტი | 4.1 | 3.3 | 1.8 | 1.82 | 1.25 | 1.16 |
| 17:30 | 24 | ჰანოვერი-ჰამბურგი | 2.9 | 3.4 | 2.15 | 1.56 | 1.23 | 1.31 |
| 17:30 | 25 | ჰანზა-არმინია | 1.9 | 3.4 | 3.65 | 1.21 | 1.24 | 1.76 |
| 17:30 | 26 | მაინცი-კაიზერსლაუტერნი | 2.15 | 3.2 | 3.1 | 1.28 | 1.26 | 1.57 |
| 17:30 | 27 | მიონხენგლადბახი-ჰერტა | 3.0 | 3.4 | 2.05 | 1.59 | 1.21 | 1.27 |
| 17:30 | 28 | შალკე-დორტმუნდი | 1.7 | 3.3 | 4.5 | 1.12 | 1.23 | 1.9 |
| 17:30 | 29 | ვერდერი-ფრაიბურგი | 1.2 | 6.0 | 10.0 | 1.0 | 1.07 | 3.75 |
| 17:30 | 30 | ვოლფსბურგი-ლევერკუზენი | 2.85 | 3.4 | 2.15 | 1.55 | 1.22 | 1.31 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (სამ.)

**12 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:20 | 52 | ოფენბახი-ვეენი | 1.9 | 3.4 | 3.2 | 1.21 | 1.19 | 1.64 |

### იტალია. სერია A

**15 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 94 | ბოლონია-ბრეშა | 2.15 | 2.6 | 3.9 | 1.17 | 1.38 | 1.55 |
| 17:00 | 95 | ფიორენტინა-ატალანტა | 1.6 | 3.5 | 5.0 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| 17:00 | 96 | ინტერი-ლივორნო | 1.3 | 4.5 | 8.5 | 1.0 | 1.12 | 2.94 |
| 17:00 | 97 | იუვენტუსი-პარმა | 1.25 | 4.5 | 10.0 | 1.0 | 1.11 | 3.1 |
| 17:00 | 99 | ლეჩე-მილანი | 5.0 | 3.4 | 1.6 | 2.02 | 1.21 | 1.08 |
| 17:00 | 101 | მესინა-კალიარი | 1.9 | 2.2 | 6.5 | 1.01 | 1.47 | 1.64 |
| 17:00 | 102 | პალერმო-რეჯინა | 2.55 | 1.7 | 6.0 | 1.01 | 1.78 | 1.32 |
| 17:00 | 103 | რომა-ლაციო | 2.5 | 2.0 | 4.3 | 1.11 | 1.58 | 1.36 |
| 17:00 | 104 | სიენა-კიევო | 2.0 | 2.9 | 3.85 | 1.18 | 1.31 | 1.65 |
| 17:00 | 105 | უდინეზე-სამპდორია | 2.15 | 2.9 | 3.5 | 1.23 | 1.33 | 1.58 |

### ესპანეთი. I დივიზიონი

**14 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 138 | ლევანტე-ბარსელონა | 5.0 | 3.5 | 1.6 | 2.05 | 1.21 | 1.09 |
| 22:00 | 143 | სევილია-რეალი | 3.1 | 3.0 | 2.2 | 1.52 | 1.28 | 1.26 |

**15 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 136 | ატლეტიკო-ბეტისი | 2.4 | 3.0 | 2.9 | 1.33 | 1.31 | 1.47 |
| 23:00 | 137 | ესპანიოლი-ვალენსია | 2.5 | 3.0 | 2.75 | 1.36 | 1.3 | 1.43 |
| 19:00 | 140 | მალიორკა-ბილბაო | 2.2 | 3.3 | 3.0 | 1.32 | 1.26 | 1.57 |
| 19:00 | 141 | ნუმანსია-ოსასუნა | 2.6 | 3.2 | 2.55 | 1.43 | 1.28 | 1.41 |
| 19:00 | 142 | რასინგი-ხეტაფე | 1.75 | 3.6 | 4.2 | 1.17 | 1.23 | 1.93 |
| 19:00 | 144 | სოსიედადი-მალაგა | 1.9 | 3.3 | 3.8 | 1.2 | 1.26 | 1.76 |
| 19:00 | 145 | ვილიარეალი-ალბასეტე | 1.25 | 5.0 | 9.0 | 1.0 | 1.09 | 3.21 |
| 19:00 | 146 | სარაგოსა-დეპორტივო | 2.2 | 3.1 | 3.2 | 1.28 | 1.3 | 1.57 |

### საფრანგეთი. I დივიზიონი

**14 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:15 | 158 | ნანტი-ლილი | 2.35 | 2.8 | 3.0 | 1.27 | 1.31 | 1.44 |
| 22:00 | 159 | პსჟ-სოშო | 1.75 | 3.3 | 4.3 | 1.14 | 1.24 | 1.86 |
| 22:00 | 160 | სტრასბური-მეცი | 2.0 | 2.6 | 4.7 | 1.13 | 1.4 | 1.67 |
| 22:00 | 161 | აიაჩო-ნიცა | 2.05 | 2.7 | 4.0 | 1.16 | 1.35 | 1.61 |
| 22:00 | 162 | ოსერი-მარსელი | 2.1 | 3.0 | 3.4 | 1.23 | 1.29 | 1.59 |
| 22:00 | 163 | კაენი-სტ.ეტიენი | 2.2 | 3.2 | 2.9 | 1.3 | 1.25 | 1.52 |
| 22:00 | 165 | ლანსი-რენი | 2.3 | 3.1 | 2.9 | 1.32 | 1.28 | 1.49 |
| 22:00 | 166 | მონაკო-ბასტია | 1.5 | 3.6 | 6.0 | 1.05 | 1.2 | 2.25 |

**15 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:00 | 167 | ლიონი-ბორდო | 1.65 | 3.3 | 5.0 | 1.1 | 1.24 | 1.98 |

### საფრანგეთი. II დივიზიონი

**13 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 169 | ამიენი-რეიმსი | 2.0 | 2.9 | 3.6 | 1.18 | 1.28 | 1.6 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 170 | ანჟე-ბრესტი | 2.0 | 3.0 | 3.3 | 1.2 | 1.24 | 1.57 |
| 22:00 | 172 | დიჟონი-შატორუ | 2.0 | 2.8 | 3.8 | 1.16 | 1.31 | 1.61 |
| 22:00 | 173 | გენგამი-გენიონი | 1.8 | 2.9 | 4.5 | 1.11 | 1.28 | 1.76 |
| 22:00 | 174 | ლავალი-მონპელიე | 2.2 | 2.9 | 3.1 | 1.25 | 1.28 | 1.49 |
| 22:00 | 175 | ლორიანი-გრენობლი | 1.95 | 2.9 | 3.7 | 1.16 | 1.27 | 1.62 |
| 22:30 | 176 | ნიორი-ლე მანი | 2.5 | 3.1 | 2.45 | 1.38 | 1.23 | 1.36 |

**14 მაისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 171 | კლერმონი-კრეტეი | 1.95 | 2.9 | 3.7 | 1.16 | 1.27 | 1.62 |
| 22:00 | 177 | ტრუა-სედანი | 1.85 | 2.9 | 4.3 | 1.12 | 1.29 | 1.73 |

**16 მაისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:15 | 178 | ნანსი-ლე ავრი | 1.7 | 3.0 | 4.8 | 1.08 | 1.25 | 1.84 |

### ბელგია. I დივიზიონი
**15 მაისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 179 | ბრიუგე-ანდერლეხტი | 2.05 | 3.2 | 3.3 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| 17:00 | 180 | ბეერსხოტი-სტ.ტრუიდენი | 1.8 | 3.3 | 4.0 | 1.16 | 1.24 | 1.8 |
| 17:00 | 181 | გენკი-შარლერუა | 1.6 | 3.5 | 4.5 | 1.09 | 1.18 | 1.96 |
| 17:00 | 182 | ვესტერლო-ბევერენი | 2.1 | 3.3 | 2.95 | 1.28 | 1.22 | 1.55 |
| 17:00 | 183 | ბრიუსელი-სერკლი | 1.7 | 3.4 | 4.2 | 1.13 | 1.21 | 1.87 |
| 17:00 | 184 | მონსი-მუსკრონი | 1.95 | 3.2 | 3.5 | 1.21 | 1.25 | 1.67 |
| 17:00 | 185 | სტანდარდი-გენტი | 1.45 | 3.6 | 6.0 | 1.03 | 1.16 | 2.25 |
| 17:00 | 186 | ლოკერენი-ლიერსი | 1.7 | 3.4 | 4.5 | 1.13 | 1.23 | 1.93 |
| 17:00 | 187 | ლუვიე-ოსტენდე | 2.2 | 3.4 | 2.8 | 1.33 | 1.23 | 1.53 |

### ჰოლანდია. I დივიზიონი
**15 მაისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16:30 | 188 | დენ ჰააგი-ბრედა | 2.1 | 3.3 | 2.95 | 1.28 | 1.22 | 1.55 |
| 16:30 | 189 | გრონინგენი-ჰერენვენი | 3.5 | 3.4 | 1.85 | 1.72 | 1.21 | 1.19 |
| 16:30 | 190 | ნაიმეგენი-გრააფსხაპი | 2.1 | 3.3 | 3.0 | 1.28 | 1.23 | 1.57 |
| 16:30 | 191 | პსვ-ფეიენოორდი | 1.7 | 3.4 | 4.2 | 1.13 | 1.21 | 1.87 |
| 16:30 | 192 | ვალვაიკი-დენ ბოსხი | 2.0 | 3.4 | 3.2 | 1.25 | 1.23 | 1.64 |
| 16:30 | 193 | როზენდალი-როდა | 2.7 | 3.2 | 2.35 | 1.46 | 1.25 | 1.35 |
| 16:30 | 194 | ტვენტე-ალკმაარი | 2.2 | 3.2 | 2.85 | 1.3 | 1.24 | 1.5 |
| 16:30 | 195 | უტრეხტი-ტილბურგი | 1.95 | 3.3 | 3.3 | 1.22 | 1.22 | 1.64 |
| 16:30 | 196 | ვიტესი-აიაქსი | 2.8 | 3.3 | 2.2 | 1.51 | 1.23 | 1.32 |

### რუსეთი
**14 მაისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15:00 | 236 | დინამო-ამკარი | 1.7 | 3.3 | 4.5 | 1.12 | 1.23 | 1.9 |
| 15:00 | 237 | ლოკომოტივი-როსტოვი | 1.25 | 4.5 | 9.0 | 1.0 | 1.09 | 3.0 |

### ნორვეგია. ტიპელიგა
**16 მაისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 297 | ბრანი-ლილესტრიომი | 1.95 | 3.3 | 3.5 | 1.22 | 1.25 | 1.69 |
| 20:00 | 298 | ჰამარი-სტარტი | 2.2 | 3.4 | 2.85 | 1.33 | 1.24 | 1.55 |
| 20:00 | 299 | მოლდე-ალესუნდი | 2.0 | 3.3 | 3.2 | 1.24 | 1.23 | 1.62 |
| 20:00 | 300 | ოდ გრენლანდი-ლინი | 2.35 | 3.3 | 2.7 | 1.37 | 1.25 | 1.48 |
| 20:00 | 301 | რუსენბორგი-ვიკინგი | 1.5 | 4.0 | 5.3 | 1.09 | 1.16 | 2.27 |
| 20:00 | 302 | ტრომსიო-ბოდიო გლიმტი | 2.0 | 3.3 | 3.3 | 1.24 | 1.24 | 1.64 |
| 22:15 | 303 | ვოლერენგა-ფრედრიკსტადი | 1.5 | 3.9 | 5.5 | 1.08 | 1.17 | 2.28 |

### ნორვეგია. I დივიზიონი
**16 მაისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 304 | ფოლო-მოსი | 2.55 | 4.0 | 2.1 | 1.55 | 1.15 | 1.37 |
| 20:00 | 305 | ჰიოდი-ბრინი | 2.65 | 4.0 | 2.1 | 1.59 | 1.17 | 1.37 |
| 20:00 | 306 | კონგსვინგერი-ლოვ ჰამი | 1.55 | 4.2 | 4.2 | 1.13 | 1.13 | 2.09 |
| 20:00 | 307 | მანდალი-ჰორს გრენლანდი | 1.7 | 4.2 | 3.5 | 1.21 | 1.14 | 1.9 |
| 20:00 | 308 | სკეიდი-სანდეფიორდი | 2.9 | 4.1 | 1.9 | 1.69 | 1.14 | 1.29 |
| 20:00 | 309 | სოგნდალი-ჰიონეფოსი | 1.45 | 4.2 | 5.5 | 1.07 | 1.14 | 2.38 |
| 20:00 | 310 | სტრიომსგოდსეტი-ალტა | 1.55 | 4.2 | 4.5 | 1.13 | 1.15 | 2.17 |
| 20:00 | 311 | ტონსბერგი-სტაბეკი | 3.3 | 4.0 | 1.8 | 1.8 | 1.16 | 1.24 |

### ფინეთი
**12 მაისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 330 | ინტერი-მარიეჰამნი | 1.8 | 3.3 | 3.7 | 1.16 | 1.21 | 1.74 |
| 20:00 | 331 | ჰაკა-მიუპა | 2.1 | 3.2 | 3.1 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| 20:00 | 332 | იარო-ალიანსი | 3.0 | 3.2 | 2.1 | 1.54 | 1.23 | 1.26 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 333 | კტპ-ტამპერე | 3.0 | 3.2 | 2.1 | 1.54 | 1.23 | 1.26 |
| 20:00 | 334 | კუოპიო-ჰკ | 2.95 | 3.2 | 2.15 | 1.56 | 1.24 | 1.28 |
| 20:00 | 335 | ლაჰტი-როვანიემი | 1.5 | 3.6 | 5.8 | 1.05 | 1.19 | 2.22 |

### მექსიკა
**12 მაისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 609 | სანტოსი-ამერიკა | 1.8 | 3.3 | 3.8 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| 23:45 | 610 | ნეკახა-ტეკოსი | 1.7 | 3.4 | 4.4 | 1.13 | 1.22 | 1.91 |

### იტალია. თასი
**12 მაისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:00 | 406 | კალიარი-ინტერი | 3.2 | 3.0 | 2.1 | 1.54 | 1.26 | 1.23 |

### ესპანეთი. თასი
**12 მაისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:00 | 408 | ატლეტიკო-ოსასუნა | 1.7 | 3.4 | 4.5 | 1.13 | 1.23 | 1.93 |

### ჩეხეთი. თასი
**12 მაისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 418 | პლზენი-ბანიკი | 3.8 | 3.2 | 1.8 | 1.73 | 1.22 | 1.15 |

### როიალ ლიგა
**12 მაისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:35 | 421 | მალმიო-რუსენბორგი | 2.6 | 3.4 | 2.2 | 1.47 | 1.19 | 1.33 |
| 22:35 | 422 | ბრანი-გიოტებორგი | 2.0 | 3.4 | 3.0 | 1.25 | 1.2 | 1.59 |

### ლიბერტადორესის თასი
**12 მაისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 427 | პალმეირასი-სერო | 1.5 | 3.6 | 5.5 | 1.05 | 1.17 | 2.17 |
| 23:45 | 429 | სტ ანდრე-ტახირა | 1.2 | 5.3 | 9.0 | 1.0 | 1.05 | 3.33 |

### კალათბურთი. იტალია
**12 მაისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:15 | 553 | ბოლონია-როზეტო | 1.1 | 12.0 | 5.0 | 1.0 | 1.0 | 3.52 |

### კალათბურთი. ესპანეთი
**12 მაისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 457 | მანრესა-ვალენსია | 1.75 | 12.0 | 1.9 | 1.52 | 1.0 | 1.64 |
| 22:30 | 458 | ტაუ-ლეიდა | 1.05 | 12.0 | 7.0 | 1.0 | 1.0 | 4.42 |

### ჩოგბურთი.კაცები.ჰამბურგი.გრუნტი.
**12 მაისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 13:00 | 547 | საფინი-ფერერო | 1.75 | 2.1 | | | | |


CROCO BOOKMAKERS
ისარგებლეთ კროკოს ახალი მომსახურებით

CROCO BOOKMAKERS
ტელკრედიტი
TELCREDIT
10 42 00 24

ჯირო დიტალია 2005. 7-29 მაისი

# მიდი, მოვდივარ

## დი ლუკა და სხვები

დიამანტესა და ჯიფონი ვალე პიანას შორის 210 კილომეტრზე გაჭიმულ მესამე ეტაპზე ოდნავ დაირღვა „ჯირო დიტალიას" ერთფეროვნება. აქამდე პელოტონი ვაკე გზაზე ვინმეს განსაკუთრებული გამოხტომის გარეშე მიგორავდა, ბოლო ასეულ მეტრებზე თუ გამოცოცხლდებოდნენ სპრინტერები, გუშინწინ კი ნამდვილი ველოშეტევაც მოეწყო. ფინიშამდე დაახლოებით 50 კილომეტრით ადრე მოზრდილი ჯგუფი მოსწყდა ძირითად მასას და ძალუმად გაიჭრა წინ. გაქცეულებს გუნდ „ბიანკის" მრბოლები მეთაურობდნენ, ტემპს ისინი უკვეთავდნენ და იმდენი მოახერხეს, გუნდის ერთ-ერთ ლიდერ დანილო დი ლუკას მოაგებინეს ეტაპი.



დანილო დი ლუკამ და დამიანო კუნეგომ ფინიშზე ერთმანეთს სიჭა გააცალეს

„**მინდა**, მთელ გუნდს მადლობა ვუთხრა დახმარებისთვის — ამბობს გამარჯვებული — განსაკუთრებით კი ბრონტოლოს, რომელიც სულ ჩემს წინ მიდიოდა და ფინიშზე ძალები შემომინახა."

მთელმა „ბიანკიმ" მშვენივრად იმუშავა, თუმც დი ლუკამ იოლად მოგება მაინც ვერ მოახერხა. ამ 50-კაციან გუნდში „ჯირო დიტალიის" მოქმედი ჩემპიონი დამიანო კუნეგოც ერია. პელოტონს მოწყვეტის შემდეგ არც ის ჩანდა მაინცდამაინც: ამდენად, ფინიშს მანაც შედარებით დასვენებულმა უწია, იქ კი ჯოჯოხეთური ორთაბრძოლა მოუწყო დი ლუკას და ველოსიპედის ბორბლის ერთი მეოთხედით თუ ჩამორჩა.

ამ ეტაპმა ჯიროს ლიდერიც შეცვალა, ვინაიდან ადრინდელმა მოწინავემ რობი მაკივენმა ვერ მოახერხა, გაქცეულებს გამოდევნებოდა, გვარიანი დრო დაკარგა, ფაქტობრივად წუთზე მეტი და პირველი ადგილიდან ერთბაშად 37 საფეხურით ჩამოვარდა.

ლიდერის კუთვნილი ვარდისფერი მაისურა დაიბრუნა პაოლო ბეტინიმ, რომელმაც ის სწორედ ერთი დღით ადრე დაუთმო მაკივენს, ხოლო ეტაპის მომგებმა იმდენი დრო მოიგო, ბეტინის ზურგსუკან, მეორე საფეხურზე აღმოჩნდა მასთან მხოლოდ 9-წამიანი ჩამორჩენით.

„ამ ეტაპის მოგებით დაკმაყოფილებას არ ვაპირებ — ამბობს დი ლუკა — კიდევ მინიმუმ ორი უნდა მოვიგო და ახლა ჩემი უმთავრესი სურვილი ვარდისფერი მაისურაა."

საერთო ჩათვლაში გვარიანად ჩამორჩა დანილო დი ლუკას მხცოვანი თანაგუნდელი, ჯიროს 2000 წლის ჩემპიონი სტეფანო გარძელი, ახლა ის მესამეა. გუშინწინდელ გაქცევაში 2001 და 2003 წლების ჩემპიონი ჯილბერტო სიმონიც მონაწილეობდა. ახლა ის მეცხრე ადგილზეა, მხოლოდ ნახევარი წუთით ჩამორჩება პაოლო ბეტინის და ალბათ კიდევ გამოჩნდება ამ ჯიროზე.

**კოტე ყორშია**

**მე-3 ეტაპი. 10 მაისი. დიამანტე — ჯიფონი ვალე პიანა. 210 კმ**

| | |
|---|---|
| 1 დანილო დი ლუკა (იტალია, ბიანკი) | 5 სთ, 24 წთ, 17 წმ |
| 2 დამიანო კუნეგო (იტალია, ლამპრე) | |
| 3 სტეფანო გარძელი (იტალია, ბიანკი) | ორივე იგივე დრო |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1 პაოლო ბეტინი (იტალია, ქუიქ სტეპი) | 15 სთ, 9 წთ, 35 წმ |
| 2 დანილო დი ლუკა (იტალია, ბიანკი) | +9 წმ |
| 3 დამიანო კუნეგო (იტალია, ლამპრე) | +17 წმ |
| 4 სტეფანო გარძელი (იტალია, ბიანკი) | -23 წმ |
| 5 პაოლო სავოლდელი (იტალია, დისკოვერი) | +26 წმ |
| 9 ჯილბერტო სიმონი (იტალია, ლამპრე) | +33 წმ |



[illegible] ფოტო

დავით თორთლაძე, ვაჟა მხეიძე, ზურაბ თალაკვაძე, ნუგზარ ჭეიშვილი და რამაზ გოგობერიშვილი

# ცეცხლი აინთო, ფინალი დაიწყო

## ავიაცია თუ ტექნიკა

დღეს ვერის ბაღში სეზონის უმთავრესი ჯახი იწყება. ამ ჩემპიონატის ორი უდაოდ გამორჩეული და ყველაზე მძლავრი გუნდი ერთმანეთს ფინალში დაეჯახება. სერია სამ გამარჯვებამდეა და შანსები ისეთი თანაბარია, აშკარა უპირატესობას ვერავის მივანიჭებთ.

ტექნიკური უნივერსიტეტისა და საავიაციო ქარხნის გუნდები ამ სეზონში ექვსჯერ შეხვდნენ ერთმანეთს, მაგრამ უპირატესობას ერთიც ვერ ფლობს — ორივემ სამ-სამჯერ იმარჯვა. ოთხი მატჩი რეგულარული ჩემპიონატისა იყო, ორიც — სათასო. სტუდენტებს მაინც აქვთ დასაკვეხნი, მათ თასის ფინალში დაამარცხეს „ავიამშენი" და სეზონის დასაწყისში მოგებულ დუდუ დადიანის თასს ეს ტიტულიც მიაყოლეს.

ახლა სტუდენტებს გასამება სურთ, ოღონდ ეს საქმე ძალიან ძნელი გასაკეთებელია, რადგან „ავიამშენი", როგორც ჩანს, ფორმაშია, ეს გუნდი ხომ ზედ ჩემპიონატის წინ შეიქმნა და მთელი სეზონის განმავლობაში შეთამაშებას უჩიოდა.

სამაგიეროდ, გამოცდილება „ავიატორთა" მხარეზეა. მათ გუნდში გაცილებით მეტი ჩემპიონი და ხელოვანი კალათბურთელი ჰყავთ, ვიდრე ტექნიკოსებს. ასეა თუ ისე, ორივე გუნდს სათავისო კოზირები და ფანდები აქვს, რომელთა გამომზეურებასაც გუშინ „სპორტკაფეში" გამართულ წინასაფინალო პრესკონფერენციაზე არც ველოდით — უბრალო, ზოგადი საუბარი იყო ორივე გუნდის მხრიდან...

*ნუგზარ ჭეიშვილი*, „სტუ-ჯეოსელის" მთავარი მწვრთნელი:

„ჩვენი მეტოქის მთავარი უპირატესობა გამოცდილებაა. ავიამშენს არაერთი ძლიერი და მრავალ ბრძოლაში გამოვლილი მოთამაშე ჰყავს. ჩვენთან ასეთი მხოლოდ ორია — რამაზ გოგობერიშვილი და ირაკლი ჯაფარიძე. ირაკლი კეიდია, დავით ბერიშვილი და ჩემი გუნდის სხვა წევრები საკმაოდ გამოცდილნი არიან, მათ ფინალშიც უთამაშიათ და ზოგიერთს მოუგია კიდეც, მაგრამ გამოცდილებით „ავიამშენის" ლიდერებთან ახლოსაც ვერ მივლენ. კახა შენგელია, დავით თორთლაძე და ამროსი ორმოცაძე ეროვნული ჩემპიონატის სიმბოლოები არიან. ისინი პირველივე ჩემპიონატიდან მოდიან და ახლაც ბრწყინვალე ფორმაში არიან...

...ჩვენი სუსტი წერტილი ცენტრალური თავდამსხმელის პოზიციაა და არც გამთამაშებლები ბრწყინავენ. სამაგიეროდ, სწრაფი და შეთამაშებული გუნდი გვყავს, რომელსაც მხოლოდ ერთი მიზანი აქვს — გამარჯვება".

*ვაჟა მხეიძე*, „თბილავიამშენის" მეორე მწვრთნელი:

„ჩემი აზრით, ფავორიტი სტუ-ა, რადგან ამ გუნდმა ჩვენ მეტად პრინციპულ მატჩში, თასის ფინალში დაგვამარცხა. ისე, ამას შესაძლოა დადებითი ეფექტიც ჰქონდეს და სტუს დამარცხებაში დაგვეხმაროს..."

აქ ავიატორთა მწვრთნელს ტექნიკოსთა თავკაცმა შეაწყვეტინა სიტყვა — თქვენ თასის ფინალში დამარცხებისთვის უკვე იძიეთ შური, როცა რეგულარული ჩემპიონატის ბოლო ტურში 34 ქულით დაგვამარცხეთო.

*ნუგზარ ჭეიშვილმა* კი განაგრძო:

„დინამოსთან" დამსახურებულად გავიმარჯვეთ ნახევარფინალში. სერიის მეორე მატჩის წაგების შემდეგ თეორიული მეცადინეობა ჩავატარეთ და ის მატჩი გავარჩიეთ. ახლაც დიდი მონდომებით ვემზადებით და ვნახოთ, რა გამოგვივა".

ბოლოს ორივე გუნდის გამოცდილმა მოთამაშეებმაც თქვეს ორიოდ სიტყვა...

*დავით თორთლაძე*, „ავიამშენის" უკანახაზელი:

„პროგნოზისგან თავს ვიკავებ, მაგრამ რა თქმა უნდა, ჩემი გუნდის მჯერა. მინდა, რომ სამი მატჩის შემდეგ ჩემპიონები ჩვენ გავხდეთ. ისე კი, ძალიან საინტერესო ბრძოლა იქნება, მთელი ეს ჩემპიონატი ხომ ჩვენი გუნდების დაპირისპირების ქრონიკა იყო".

*რამაზ გოგობერიშვილი*, „სტუ-ჯეოსელის" ფორვარდი:

„ეს ჩემთვის მეხუთე ფინალია და დიდი სურვილი მაქვს, უსიამოვნო ტრადიცია ამჯერად მაინც დავარღვიო და ჩემპიონი გავხდე. ჩემი აზრით, გამარჯვებული ოთხი მატჩის შედეგად გამოვლინდება, შანსები კი ორმოცდაათი ორმოცდაათზეა".

**ირაკლი პერტაია**

# კონტრაქტი შედგენილია

## საქართველო მწვრთნელს ელოდება

საქართველოს ნაკრების მწვრთნელი შერჩეულია, მაგრამ მისი ვინაობის გახმაურებას კალათბურთის ფედერაციაში ჯერ არ ჩქარობენ. ინკოგნიტო სპეციალისტმა გუშინწინ კონტრაქტის ახალი ვარიანტი მიიღო, რომელიც ქართულმა მხარემ ჩაასწორა და თუ უცხოელისთვის ის მისაღები იქნება, საქმეც გაიჩარხება როგორც კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ბესიკ ლიპარტელიანმა გვითხრა, ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატი საკმაოდ კომპეტენტურია და ის ქართული კალათბურთის შიდა სამზარეულოსაც კარგად იცნობს...



ბესიკ ლიპარტელიანი

— სულ ცოტაც და ჩვენს ნაკრებს ახალი მწვრთნელი ეყოლება. თითქმის ყველაფერი შეთანხმებული გვაქვს, არც ფულია პრობლემა, მთავარია, კანდიდატმა საბოლოო გადაწყვეტილება მიიღოს.

**— თუ თანხმობა არ მიგიღიათ, ესე იგი, ჯერ რაღაც გაურკვეველია...**

— ამჟამად კონტრაქტში ჩვენმა იურისტმა ორი ისეთი დეტალი აღმოაჩინა, რომლის მიღებაც არ არის ჩვენთვის მიზანშეწონილი. დრაჟენ ბრაიკოვიჩის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით მწარე გამოცდილება გვაქვს. იგი, გეცოდინებათ, ჩვენი შედგენილი არ იყო. ამიტომაც გვსურს, თითოეულ დეტალს დიდი დაკვირვება მივაქციოთ.

**— მის ვინაობას ვერ გაგვიმხელთ?**

— მე დღესვე ვიტყოდი მის სახელს, მაგრამ მოლაპარაკების სპეციფიკა საშუალებას არ მაძლევს. როცა ყველაფერს ბეჭედი დაესმება, მის სახელსაც გეტყვით და ტელეფონის ნომერსაც მოგცემთ.

**ირაკლი პერტაია**

# NBA PLAY OFF 2005 მეორე წრე

— 10 მაისი —

**აღმოსავლეთი**

**მაიამი 1:0 ვაშინგტონი**

**მაიამი 108:102 ვაშინგტონი**

**მაიამი:** ვეიდი (31 ქულა, 15 პასი, 7 მოხსნა), დ. ჯონსი (14), ე. ჯონსი (21), ჰეისლიმი (14 ქულა, 13 მოხსნა), ონილი (16); დულინგი (5), მურნინგი (3), ბატლერი (3), ლეიტნერი (1), დოლიკი
**ვაშინგტონი:** არენასი (28), ჰიუზი (15), ჯემისონი (32), ჯეფრისი (2), ჰეივუდი (9); დიქსონი (10), ტომასი (6), რუფინი, პილერი



მაიამელი დუეინ ვეიდი ვაშინგტონელ ბრენდან ჰეივუდს იღლიაში შეუძვრინდა

# შაკი არა...

## მაიამის ვეიდმა აამა

**როგორც** სხვა მრავალმა, „მაიამის" ამ თამაშმაც „უძვირფასესი, „უძვირფასესის" სკანდირებაში ჩაიარა. ტრიბუნები ასე ამხნევებენ „ჰითის" გოლიათ ცენტრ შაკილ ონილს.

შაკი წლეულს ვერ გახდა სეზონის უძვირფასესი მოთამაშე, ფინიქსელმა სტივ ნეშმა ზედ ცხვირწინ ააცალა ეს ტიტული, რომელიც ონილს თავისი კაშკაშა კარიერაში მხოლოდ ერთხელ, 2000 წელს მიუღია. თუმცა, შაკს გამოკითხვაში რომც ეჯობნა ნეშისთვის — ბოდიში მის ქომაგებთან და — ეს გამხნევება მასზე არამი იქნებოდა. სხვა უფრო იმსახურებდა ამ პატივს.

ამ პლეი ოფში ონილმა მიგვაჩვია უფერულ თამაშებს და „ვაშინგტონთან" მეორე შეხვედრაშიც მხოლოდ 16 ქულა მიახმარა თანაგუნდელებს.

სამაგიეროდ, „მაიამის" მეორეწლიანმა გამთამაშებელმა დუეინ ვეიდმა კვლავ სასწაულები აკეთა და ცოტა მეტი სითამამე რომ გამოეჩინა და ფარქვეშ უფრო ხშირად ჩასაფრებულიყო, მოხსნებსაც მეტს დააგროვებდა და სამმაგ დუბლსაც ჩაიწერდა. თუმცა ასეც არა უშავდა, 31 ქულას 15 პასიც მოაყოლა და არა მხოლოდ პირადი, არამედ სრულიად საკლუბო რეკორდი გამოაცხო. აქამდე არც ერთ მაიამელს პლეი ოფში ამდენი პასი არ გაუკეთებია. ძველი რეკორდის ავტორი კი ნაკლებ ცნობილი ენტონი კარტესი გახლავთ — 2000 წელს მას ერთ-ერთ თამაშში 13 პასი გაუკეთებია.

არც ვაშინგტონელები იდგნენ უქმად. პირველი შეხვედრის უიმედოდ წაგების შემდეგ ამჯერად მათ შორიდან არ უცქერიათ ვეიდის ჩაუქობისთვის, მასპინძლებს ხელსაც უბრუნებდნენ. ანთაუნ ჯემისონმა პლეი ოფებში პირადსარეკორდოდ ბევრი ქულა მოიხვეჭა, ჯილბერტ არენასსაც არა უშავდა და ცნობილი ვაშინგტონური ტრიოს მესამე წევრ ლარი ჰიუზს პირველი 11 ტყორცნა რომ არ გაეფუჭებინა, მის გუნდს იქნებ მცირე სასწაულიც მოეხდინა.

ასე კი „მაიამიმ" მაინც მოიგო, ზედიზედ მეექვსე მიმდინარე პლეი ოფში და ახლა დედაქალაქში ორი თამაშისთვის გაემზადება, სადაც ბოლო ოთხი შეხვედრაა, არ დამარცხებულა.

**დასავლეთი**

**სან ანტონიო 2:0 სიეტლი**

**სან ანტონიო 103:91 სიეტლი**

**სან ანტონიო:** პარკერი (22), ბერი (9), ბოუენი (2), დანკანი (25), მუჰამედი (7 ქულა, 10 მოხსნა); ჯინობილი (28), ჰორი (6), რობინსონი (4), უდრიჰი (4), მასენბურგი (1), ნესტეროვიჩი, ბრაუნი
**სიეტლი:** რიდნორი (6), ალენი (25), ლუისი (22), ევანსი (1 ქულა, 12 მოხსნა), ჯეიმსი (8); დანიელსი (16), კოლისონი (9), მიურეი (4), ფორტსონი

**სიეტლელთა** საბედნიეროდ, მათი ლიდერის რეი ალენის ქუსლის ტრავმა მძიმე არ აღმოჩნდა და ისიც ყოჩაღად გაჰფლვდა „ზებგერიჩებს" სანანტონიოელ „დეზებთან მეორე", მატჩში 25 ქულაც გაახერხა, მაგრამ მის გუნდს ამანაც ვერ უშველა. იოლად გადარჩენის მიუხედავად, ალენი მაინც მთელი თამაშის განმავლობაში უბღვერდა მასპინძელთა ფრთა დეივდ ბოუენს, შეგნებულად დამამტვრიეო, რაზეც [illegible] ბოუენმა პრესაში უპასუხა: „კალათბურთი კონტაქტური თამაშია და ტრავმებისგან დაზღვეული არავინ არის. რაც შეეხება ალენს, ნამდვილად არ დამიმტვრევია შეგნებულად. ახლაც მასთან პირისპირ თამაშისას სულ ვცდილობდი, მსაჯებს ჩემი ხელები დაენახათ. აღარ მინდა, ვინმემ უაზროდ მომდოს შარი".

სანანტონიოელებს ნაღდად არ დასჭირვებიათ ბინძური თამაში და ვინმეს დამტვრევა, რეალურად „სიეტლსაც" ისევე დამაჯერებლად მოუგეს, როგორც ორი დღით ადრე [illegible]. როგორც ყოველთვის, ახლაც იჯადოქრა „სპურზის" სათადარიგო უკანახაზელმა მანუ ჯინობილიმ — არგენტინელმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ამჯერად 28 ქულით ასაჩუქრა თავისიანები.

ჯინობილის სასტარტო ხუთეულიდან სათადარიგოებში გადაყვანა მოხერხებული მანევრი [illegible]მაა, ამას „სიეტლის" თავკაცი ნეიტ მაკმილანიც ამბობს.

„მანუ ბუნებით ლიდერია და შეუძლია, თავის გუნდს ნებისმიერი მეტოქის წინააღმდეგ თამაშს გაუძღვეს. როცა ტიმ დანკანი [illegible]ბოდა, მოედანზე პირველი კაცი ის რჩებოდა, ახლა კი გრეგ პოპოვიჩმა ეს ორი ერთმანეთს დააცილა და თავადაც ხედავთ, როგორ მოსავალს იმკის."

ჯინობილი მთელი რეგულარული ჩემპიონატი „სპურზის" ძირითადებში იყო და მშვენივრადაც თამაშობდა, ოღონდ სტარტში [illegible] თის რიგებშიც თამაშა, [illegible] კი პოპოვიჩმა ის „დენვერთან" პირველივე მატჩის წაგების შემდეგ ფორმალურად დააქვეითა. [illegible] სახეზეა, ჯინობილი მას შემდეგ საშუალოდ 21 ქულას იხვეჭს და „სან ანტონიომაც" აგერ ზედიზედ ექვსჯერ იმარჯვა.

**კოტე ყორშია**

# ჩემს გუნდში კაცები თამაშობენ

## მაიკ დანტონი სეზონის საუკეთესო მწვრთნელია

**„ფინიქს სანზის"** კანადელი გამთამაშებელი სტივ ნეში სეზონის უძვირფასეს მოთამაშედ რომ დასახელდა, ეს რამდენიმე დღის წინ ნათქვამი ამბავია. „ფინიქსს" მართლაც ზღაპრული რეგულარული ჩემპიონატი ჰქონდა (ისე ჯერ არც პლეი ოფში უჭირს) და არაჩვეულ გუნდს კარგი გარჯა კიდევ ერთი პირადული ტიტულით დაუფასდა — „სანზის" თავკაცი მაიკ დანტონი სეზონის მწვრთნელად დასახელდა.

იტალიელ-ამერიკელმა დანტონიმ ჟურნალისტთა გამოკითხვაში 326 ქულა დააგროვა და დამაჯერებლად გაასწრო ინდიანელ რიკ კარლაილს (241 ქულა) და სიეტლელ ნეიტ მაკმილანს (234).

დანტონის რაც თავი ახსოვს, სულ კალათბურთშია — იტალიაში თამაშობდა, კარიერის დამთავრების შემდეგ კი მწვრთნელად აღიკვეცა და კარგი სახელიც დაიგდო. ნბა-ში ის 1998-99 წლების სეზონში „დენვერს" მეთაურობდა, შემდეგ „სან ანტონიოსთვის" ევროპაში კარგ ბიჭებს არჩევდა და სწორედ მისი რეკომენდაციით აიყვანა „სპურზმა" ორი მომავალი ვარსკვლავი — უწვერული ფრანგი ტონი პარკერი და გამოცდილი, თუმც ახალგაზრდა არგენტინელი მანუ ჯინობილი.

2002 წლიდან დანტონი „ფინიქსის" სამწვრთნელო შტაბში გადაბარგდა და წინა სეზონის შუაწელს გუნდიდან მთავარ მწვრთნელ ფრენკ ჯონსონის დათხოვნის შემდეგ მისი საქმე გადაიბარა. ამგვარად, მას ახლა პირველი სრული სეზონი ჰქონდა და



მერე როგორი! — რეგულარულში 62 გამარჯვებით კლუბის რეკორდი გაიმეორა.

ერთი სიტყვით, ამ ღირსეული ძიასთვის ეს ტიტული ნამდვილად ალალია.

არადა, დიდი საშიშროება იყო, „ფინიქსს" მთელი წელი ჩავარდნოდა. სეზონის დაწყებამდე „სანზის" შეფებმა სტივ ნეში და კვენტინ რიჩარდსონი რომ მოიყვანეს, გუნდში ზუსტად ხუთი კარგი კალათბურთელი მოგროვდა. სკამზე ჯდომა არავის უნდოდა, ჰოდა, დანტონიც რისკზე წავიდა და ხუთეულში ყველა შეიყვანა, მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის ერთიც არ იყო ნომინალური ცენტრი. დანტონიმაც 208-სანტიმეტრიანი თავდამსხმელი ამარე სტაუდემაიერი ცენტრად გაამწესა, 201-სანტიმეტრიანი ფრთა შონ მარიონი თავდამსხმელად, ხოლო 196-სანტიმეტრიანი რიჩარდსონი — ფრთად.

გვარიანად დაბალი ხუთეული გამოვიდა, რომლის საშუალო სიმაღლე ორი მეტრიც არ არის, თუმც სამაგიეროდ, „ფენიქსმა" სისწრაფეში ისეთი უპირატესობა მიიღო და ისეთი მობილური გახდა, ლამისაა ყველა მეტოქე წალეკოს. რეგულარულის 82 თამაშში „სანზმა" საშუალოდ 110,4 ქულა დააგროვა, ამდენი კი 1994-95 წლების „ორლანდოს" შემდეგ არავის უგროვებია.

დანტონი, როგორც წესი, არ ბოჭავს მოთამაშეებს ათასგვარი ტაქტიკური სქემებით. ასე ვთქვათ, ის მხოლოდ მიმართულებას აძლევს შეგირდებს და ესენიც მშვენივრად მოქმედებენ. „მართებულად არ მიმაჩნია კაცების შეზღუდვა და [illegible] მათთვის ყველაფრის მითითება — ამბობს სეზონის საუკეთესო მწვრთნელი — ჩემს გუნდში კი კაცები თამაშობენ".

**კოტე ყორშია**



# ანანოს სიხარული და საჰიმნო კურიოზები

**არიქა,** თავისუფლების მოედანზე ჯორჯ ბუშის ასაფეთქებლად ბომბი იპოვესო და არის ერთი ვაიუშველებელი, მაგრამ, როგორც ამბობენ, ისე არა წვიმს, როგორც ქუხსო. ჯერ ერთი, ყველგან მოიძებნებიან პროვოკატორები, ტერორისტები, ავისმზრახველები, ბოროტად ხუმარები, მეორეც, ყველგან ნახავთ ბუზისგან სპილოს „შემქმნელებს", რომლებიც ხელყუმბარას ბომბად მოგვაჩვენებენ, ხოლო თვითნაკეთ რაღაც სატკაცუნოს ან სულაც უწყინარ ნივთს ხელყუმბარად ასაღებენ, კარგად დაგვირგვინებულ საქმეზე კი თვალს ხუჭავენ და ქილიკობენ.

ჰოდა, იმ დღეს თავისუფლების მოედანზე მომუშავე სტუმარ-მასპინძელთა უშიშროების სამსახურზე ქირქილი კი არა, ქებაა საჭირო.

მაგრამ ახლა სულ სხვა თემაზე, იმ დღეს საქართველოს ჰიმნთან დაკავშირებულ კურიოზზე გვინდა შევჩერდეთ და მსგავსი ამბების გახსენებაზეც.

ეს თემა ჩემმა ათი წლის შვილიშვილმა ანანომ მიკარნახა.

ჰოდა, მიდის იმ დღეს თავისუფლების მოედნიდან გახარებული ანანო და აღტაცებული მეუბნება, ბაბუა, ბაბუა, ბიძის მხრებზე შემომჯდარმა ჰიმნი მეც ვიმღერეო.

დარწმუნებული ვარ, რომ კარგადაც იმღერებდა, რაკილა შინ ხშირ-ხშირად ომახიანად ფრიადზე დასჭექებს ხოლმე.

ზოგი ჭირი მარგებელიაო და, ამერიკელთა ლაფსუსით გამქრალი მუსიკალური ფონოგრამის გარეშე 150 ათასამდე კაცისგან აგუგუნებულმა ჰიმნმა მართლაც წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. ამიტომაც იყო, ერთი ჩვენი უცხოელი კოლეგა რომ ამბობდა, ეს ერთი შეხედვით უმნიშვნელო, მაგრამ ძალიან საინტერესო დეტალია და მას ჩემს რეპორტაჟში უთუოდ ჩავრთავო.

ერთი სიტყვით, საქართველოს პრეზიდენტის ერთი ხელის აქნევით აგუგუნებულმა ხალხმა უჰიმნობისგან გვიხსნა.

და ახლა სპორტულ შეჯიბრებებზე ჰიმნის შესრულებასთან დაკავშირებული კურიოზებიც მახსენდება. ერთ-ერთ მათგანზე ამ რამდენიმე დღის წინათაც გიამბეთ, ახლა კი ყოველი შემთხვევისთვის მოკლედ შეგახსენებთ.

ვენის მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე კანადაში ამ ქვეყნისა და აშშ-ს ეროვნული ნაკრები გუნდების ჰოკეისტებმა ამხანაგური შეხვედრა გამართეს. ტრადიციისამებრ, ჯერ ამერიკის ჰიმნი უნდა შესრულებულიყო, რისთვისაც ყინულზე გამოვიდა კაროლინ მარსილი. მაგრამ მას ჰიმნის ტექსტი დაავიწყდა და უკან გაბრუნდა. რამდენიმე წამის შემდეგ კვლავ ყინულზე გამოვიდა, მაგრამ ისევ დაავიწყდა და თანამემამულე ჰოკეისტთა გასახდელში შეცბუნებული გუნდის შუაგულში შევარდა. მალე ისევ ყინულზე გამოვიდა ფურცლით ხელში, რომელიც ეტყობა „შპარგალკა" იყო, მაგრამ ფეხი დაუცდა, გაიშხლართა და იქაურობა საბოლოოდ დატოვა.

ასე ჩატარდა ეს მატჩი ჰიმნების შეუსრულებლად. თუმცა, ამ საქმეს გაგრძელებაც ჰქონდა.

კაროლინ მარსილი შემდეგ იხსენებდა, რომ პირველი წარუმატებელი ცდის შემდეგ, როცა ტრიბუნები ახმაურდა, ჰიმნის ტექსტი მთლიანად ამომივარდა თავიდანო.

კანადელთა კაპიტანმა რაიან სმიტმა კაროლინის ვაჟკაცობა მაინც ღირსეულად შეაფასა:

„იგი დაბრუნდა. მისი მეორე ცდა მაგარი იყო. მას რომ იმ დროისთვის კანადის ჰიმნი ჰქონოდა სამღერი, დარწმუნებული ვარ, ჩვენ ყველანი მას ავყვებოდით და აღარც არაფერი დაავიწყდებოდა".

მაგრამ ამერიკელ ჰოკეისტებს მსგავსი სურვილი არ გასჩენიათ და წარსულში კვებეკის ჰოკეის ფედერაციის პრეზიდენტის რენე მარსილის შვილს მსგავსი დახმარება არ აღმოუჩინეს.

ორი დღის შემდეგ კაროლინი გამოჩნდა ტელეპროგრამაში „დილა მშვიდობისა, ამერიკა!" და კამერების წინ ყოველგვარი შპარგალკისა და ბორძიკის გარეშე თავიდან ბოლომდე დიდებულად იმღერა ამერიკის ჰიმნი, რითაც თავისი ვარსკვლავობის სტატუსი დაამტკიცა.

ამბობენ, ახლა კაროლინ მარსილის ჰიმნების შესრულებისას ღონისძიებებზე ამ ქალის სანახავად ისე ივლიან, როგორც რაღაც ღირსშესანიშნაობაზეო.

და ალბათ, გულის სიღრმეში მისი გულმავიწყობის იმედიც ექნებათ.

უნდა ითქვას, რომ ჩრდილოეთ ამერიკაში მსგავსი რამ არასოდეს მომხდარა. თუმცა, ისტორიას ახსოვს, როცა ჰიმნის მომღერლებს ტექსტის სიტყვები ავიწყდებოდათ. მაგალითად, ორიოდე წლის წინათ არიზონას შტატში საუნივერსიტეტო საკალათბურთო გუნდების მატჩის დაწყებამდე მომღერალს სულ გადაავიწყდა სიტყვები, თუმცა არ შედრკა, არ დაიბნა და „გზადაგზა" მაყურებელთა სამხიარულოდ იმპროვიზაციას მიმართავდა.

ეროვნული ჰიმნების შესრულება სპორტულ შეჯიბრებებზე ჩრდილოეთ ამერიკაში და განსაკუთრებით შეერთებულ შტატებში წმიდათა წმიდა მოვალეობად ითვლება.

ჰიმნებს მღერიან როგორც ნებისმიერი მასშტაბის ჰოკეისტთა, ბეისბოლისტთა, კალათბურთელთა და ფეხბურთელთა მატჩების დაწყებამდე, ისე ავტომრბოლელთა შეჯიბრებებზეც, ხოლო მათ შემსრულებელთა ვაკანტურ ადგილებზე მკაცრი კონკურსებიც ტარდება.

ისიც საინტერესოა, რომ ჰიმნის შემსრულებლებსაც ისევე აკრიტიკებენ, როგორც თავად შეჯიბრების მონაწილეებს.

საერთაშორისო შეჯიბრებებისას, რა თქმა უნდა, ყველა მონაწილე ქვეყნის საპატივცემულოდ სრულდება ჰიმნები, მაგრამ ეს ყოველივე ყველას სულაც არ მოსწონს. მაგალითად, „ტულონ სიტიზენის" კორესპონდენტი კორკი სიმპსონი ირონიულად ამბობს, თუ ლოგიკურები ვართ, ბოლომდე ლოგიკურნი ვიყოთ და ჰიმნი პოკერის თამაშისას ყოველი პარტიის დაწყების წინაც ვიმღეროთო.

მე წინააღმდეგი ვარ ბაგირის გადაძალვისას, ტრაქტორების შეჯიბრებების ან „ტარზანკიდან" ხტომის წინ ეროვნული ჰიმნების შესრულებისაო, ამბობს კორკი სიმპსონი.

ჰიმნის შესრულება ხშირად ამა თუ იმ გუნდის თავისებურ თილისმადაც გვევლინება. ჰიმნს ასრულებენ როგორც შეჯიბრების დაწყებამდე, ისე მისი მსვლელობისას. მაგრამ რას აკეთებენ ახლა ნჰლ-ს უქმობისას მომღერლები?

62 წლის პოლ ლორიო უკვე 24 წელიწადია, რაც „ედმონტონ ოილერზის" მატჩების დაწყებამდე მღერის „ო, კანადა!" უფრო სწორედ, მღეროდა, რადგან ნჰლ-ს გუნდების უქმობის გამო იგი უმუშევარი დარჩა. თუმცა, ახლა მას სიმღერა ქორწილებსა და საეკლესიო გუნდებში უწევს.

**ავთანდილ ჟუვიშელი**

წყალბურთი

# ევროპით გაწბილებულნი და უკრაინით დაიმედებულნი



**საქართველოს წყალბურთელთა ახალგაზრდულმა ნაკრებმა ევროპაში სახელის მოხვეჭა ბოლო წლების გამარჯვებებით მოახერხა. სოსო მაისურაძის გუნდმა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ზედიზედ ოთხჯერ ითამაშა, გასულ კვირას კი დიდი იმედგაცრუება იწვნია. სტამბოლში ჩატარებულ ევროპირველობის შესარჩევ ეტაპზე შვიდგუნდა ჯგუფში პირველ-მეორე ადგილზე გასვლა ვერ მოახერხა და ევროსაგზურის გარეშე დარჩა.**

— წარუმატებლობის არაერთი მიზეზის დასახელება შეიძლება — გვითხრა გუშინ მაისურაძემ — პირველ რიგში კი ზედმეტი თავდაჯერებულობა უნდა ვახსენოთ. პირველი თამაში სლოვენიასთან გვქონდა და გამარჯვებაში ეჭვიც არავის ეპარებოდა. ბიჭებმა მოწინააღმდეგე რიგიანად ვერ შეაფასეს, თავისი მომენტებიც ვერაფრით გამოიყენეს და... არადა, პირველ ტაიმში სულ ცოტა 4 ბურთი უნდა გაგვეტანა. მოულოდნელმა სტარტმა ფსიქოლოგიურად გაგტეხა.

**— რეალურად სლოვენიის ნაკრები სხვა თანაჯგუფელებზე ძლიერი იყო?**

— სლოვენიაზე ბევრად უკეთესი გუნდი რუმინელებს ჰყავდათ, აკი დიდი ანგარიშითაც დაამარცხეს. ჩვენ კი ლიტვასა და მაკედონიას დაახლოებით ოცბურთიანი სხვაობით მოვუგეთ და გადამწყვეტი სწორედ რუმინეთთან მატჩი გამოდგა. სამწუხაროდ, დავმარცხდით, მაგრამ უსამართლოდ.

**— ცუდი მსაჯობა იყო?**

— თუ რუმინეთს მოვუგებდით, პირველ ადგილზე გავდიოდით, რუმინელები — მეორეზე, სლოვენია კი ევროსაგზურის გარეშე რჩებოდა. წარმოიდგინეთ, როგორი სამართლიანობა იქნებოდა, როცა მსაჯად სლოვენიელი დანიშნეს პირდაპირ გეტყვით, არ გაგვახარა. საბოლოოდ ორბურთიანი სხვაობით წავაგეთ. დიდხანსაც ვაპროტესტეთ, მაგრამ უშედეგოდ. დარჩენილი ორი შეხვედრიდან მოლდოვას 16:4 ვძლიეთ, ხოლო მასპინძლებთან ფრედ ვითამაშეთ ისიც იმიტომ, რომ საგზურის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო და პარტიები ვითამაშე. უსამართლობაზე ერთსაც ვიტყვი. შესარჩევი ეტაპის ჯგუფები ისე ცუდად იყო შედგენილი, რომ ზოგიერთიდან ჩვენი ბოლოადგილოსნებიც კი გაალწევდნენ.

**— წლეულს სხვა რა ტურნირები დაგრჩათ?**

— ხვალ უკრაინაში მივემგზავრებით და იქაური ჩემპიონატის ფინალურ ეტაპში ჩავერთვებით. რეალურად მეორე ადგილის შანსი გვაქვს და არა მგონია, ხელიდან გავუშვათ. პირველადგილოსან „მარიუპოლს" გვარიანად ჩამოვრჩებით, მესამეადგილოსან ლვოვის „დინამოს" ხუთით ვუსწრებთ. გადამწყვეტ ეტაპზე ხუთი ტური ჩასატარებელი.

**— უკრაინაში ახალგაზრდულ ნაკრებს უფროსებიც დაემატებიან?**

— რამდენიმე ლეგიონერით და საქართველოში მყოფი სპორტსმენით გავძლიერდებით. სამწუხაროდ, ალბათ ვერ ჩამოვა გერმანიაში მოთამაშე ილია ბუტიკაშვილი. ახლა მელაპარაკა, გუნდი არ მიშვებსო. სწორედ ამ მიზეზით ვერ გამოგვყვა სტამბოლშიც. შესარჩევ ეტაპზე ვერც გიორგი ბიბილეიშვილი დაგვემატა. თურქეთში გამგზავრებამდე ორი დღით ადრე კენჭის გავლა ჰქონდა. ორივე ეს წყალბურთელი ცენტრალური თავდამსხმელია და გუნდისთვის ძალიან დიდ ძალას წარმოადგენენ.

**ოთარ მაღლაკელიძე**

კრივი

# უკრაინელის მოწინააღმდეგე ბელარუსია

## ვლადიმერ კლიჩკოსა და სერგეი ლიახოვიჩს შორის გამარჯვებული კრის ბერდს შეხვდება

**კლიჩკოთაგან** უმცროს ვლადიმერს მალე ახალი გამოცდა ელის. მისი მოწინააღმდეგე ბელარუსი სერგეი ლიახოვიჩი იქნება. მასთან კლიჩკოს ჯერ კიდევ აპრილში უნდა ეჩხუბა დორტმუნდში, თუმცა მაშინ ბელარუსმა რაღაც დოკუმენტებს ვერ მოუყარა თავი, რომლებიც გერმანიაში სტუმრობის შესაძლებლობას მისცემდა და ბრძოლაც გადაიდო.

ვლადიმერს, რომელსაც ლეიმონ ბრიუსტერთან მარცხის შემდეგ რეპუტაციის აღდგენა სურდა, ბევრი აღარ უფიქრია და ელიზეო კასტილიოს შეერკინა, თუმც ორგანიზატორები წინდაწინვე აცხადებდნენ, გამარჯვებულს IBF ვერსიით ჩემპიონობის ბრძოლის უფლება ჯერ არ ექნებაო.

სამაგიეროდ, კლიჩკო-ლიახოვიჩის შორის გამარჯვებულს შესაძლებლობა ექნება, კრის ბერდს ჩემპიონის ქამრისათვის შეებრძოლოს.

**ლადო ფულუკიძე**

— 10 მაისი —

## მსოფლიოს ჩემპიონატი. ვენა-ინსბრუკი

# ეული დოლის ხმა, როგორც სამგლოვიარო მარში




შვედებმა ლატვიელები არ გაახარეს

**მეორე** პერიოდის დასაწყისში მრავალათასიანი ლატვიური ფანობის წარმოუდგენელი ხმაურის ნაცვლად ტრიბუნებიდან ეული დოლის ხმაღა ისმოდა, რომელიც სამგლოვიარო მარშს წააგავდა. თითქოს ბალტიისპირელი ქომაგი თავის ნაკრებს დასტიროდა. ლატვიელთათვის სამწუხაროდ, მათი ქვეყნის ნაკრებმა ვერ მოაწყო სენსაცია და ვერ მოუგო შვედეთის გუნდს, რათა მეოთხედფინალური საგზური მოეპოვებინა.

შეგახსენებთ, სკანდინავებისთვის ეს თამაში გადამწყვეტი არ იყო და იმასაც ფიქრობდნენ, რომ ვიკინგები თავს არ მოიკლავდნენ და ეგებ წაეგოთ კიდეც. თუ ეს მოხდებოდა, ლატვია შვედების ყველაზე პრინციპულ მეტოქე ფინეთს პლეი ოფის მიღმა დატოვებდა, მაგრამ „ტრე კრუნური“ გუნდმა ნამდვილი სპორტული ხასიათი გამოამჟღავნა და ყველას კიდევ ერთხელ დაუმტკიცა, რომ ამ ქვეყნის წარმომადგენლები პრინციპს არასოდეს ღალატობენ.

პირველი მესამედი ახალი დაწყებული იყო, როცა ნიკლას კრონვალმა უძლიერესი დარტყმით დალაშქრა არტურს ირბეს კარი. ამის შემდეგ ლატვიელთა იმედები კიდევ 14 წუთს ციცხლობდა, მაგრამ როცა დანიელ ალფრედსონმა გაიორმაგა ანგარიში, ნათელი გახდა, რომ იმ დღეს ბალტიისპირელებს არანაირი შანსი არ ექნებოდათ. 22-ე წუთისთვის შვედები უკვე 4:0 იგებდნენ, რის შემდეგაც ირბემ სათადარიგოთა სკამს მიუშურა. ეს იმას ნიშნავდა, რომ მისი გუნდი ფარხმალს ყრიდა. სწორედ ამ მომენტში ახმაურდა ის ეული დოლი, რომელზეც თავში მოგახსენეთ...

„ჩვენ ყოველთვის სრულ მზადყოფნაში უნდა ვიყოთ. ამიტომაც დღეს არ მოვდუნდით და მატჩი მობილიზებულად ჩავატარეთ. თუ ასეთ განწყობას შევინარჩუნებთ, არც ერთი მეტოქის არ შეგვეშინდება“ — თქვა შვედების თავკაცმა ბენგტ-ოკე გუსტაფსონმა.

ლატვიის დარად, სხვა პოსტსაბჭოურმა გუნდებმაც წააგეს თავიანთი ბოლო მატჩები.

შეგახსენებთ, რომ მეორე ეტაპზე ყოფილი სსრკ-ს ერთბაშად ხუთი გუნდი გავიდა, მაგრამ გარდა რუსებისა, პლე ოფს ვერავინ მიაღწია. დანარჩენი ოთხი მყუდროდ მოეწყო მეცხრე-მეთორმეტე ადგილებზე. ბოლო დღემდე მხოლოდ ბალტიისპირელებს ჰქონდათ შანსი, დანარჩენებს კი უკანასკნელ თამაშში კარის მოყახუნების საშუალებაღა რჩებოდათ. ყველაზე უკეთ ეს უკრაინელებს გამოუვიდათ, რომლებმაც ზედიზედ მეორე დღე ჩრდილოამერიკულ გრანდებს დიდი ბრძოლა გაუმართეს. ისევე, როგორც აშშ-სთან, კანადასთანაც ძალიან ახლოს იყვნენ ფრესთან, მაგრამ საქმეში კვლავ ოკეანისგაღმელთა საუკეთესო წყვილი ჩაერია. 50-ე წუთზე ჯო ტორნტონმა ზუსტი პასი გააკეთა, ხოლო გოლი, როგორც ალბათ უკვე მიხვდით, რიკ ნეშმა გაიტანა და კანადელებს მძიმე გამარჯვება მოუტანა.

ამრიგად, დასრულდა საკვალიფიკაციო ეტაპი, დღეიდან ჩემპიონატზე მთავარი მატჩები იწყება. სწორედ დღეს გაიმართება ყველა მეოთხედფინალური თამაში და მათში გუნდები ასე დაწყვილდნენ:

**რუსეთი — ფინეთი**
**ჩეხეთი — აშშ**
**შვედეთი — შვეიცარია**
**კანადა — სლოვაკეთი**

**ბომბარდირები:** [illegible] 11 (9+6), ტორნტონი ([illegible]) 11 (5+6), ალფრედსონი ([illegible]) 9 (3+6), პალფი (სლოვაკეთი) [illegible], იაგრი (ჩეხეთი), პოლსონი ([illegible]) (7 (2+5), შტუმპელი (სლოვაკეთი) 7 (0+7), ჰოსა (სლოვაკეთი), კნუბლი (აშშ) 6 (4+2), [illegible] (ბელარუსი), კოვალი [illegible], დ. სედინი (შვედეთი) [illegible]

**E ჯგუფი**
**სლოვაკეთი 3:1 ყაზახეთი**
**ჩეხეთი 5:1 ბელარუსი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 3 | 2 | 0 | 13:8 | 8 |
| ჩეხეთი | 4 | 0 | 1 | [illegible]:5 | 8 |
| სლოვაკეთი | 3 | 1 | 1 | [illegible] | 7 |
| შვეიცარია | 2 | 1 | 2 | [illegible] | 5 |
| ბელარუსი | 1 | 0 | 4 | [illegible] | 2 |
| ყაზახეთი | 0 | 0 | 5 | [illegible] | 0 |

**F ჯგუფი**
**კანადა 2:1 უკრაინა**
**შვედეთი 9:1 ლატვია**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 4 | 0 | 1 | [illegible] | 8 |
| კანადა | 3 | 1 | 1 | [illegible] | 7 |
| აშშ | 2 | 2 | 1 | [illegible] | 6 |
| ფინეთი | 1 | 3 | 1 | [illegible] | 5 |
| ლატვია | 1 | 1 | 3 | [illegible] | 3 |
| უკრაინა | 0 | 1 | 4 | [illegible] | 1 |

**მე-13-16 ადგილებისთვის**
**გერმანია 2:3 დანია**





AFP ფოტო

# ამერიკელებს შავები უდგათ
## შარაპოვამ კი ჯერ ვერ დაიკავა

**მასტერსერია**
**ჰამბურგი. თიხნარი**
**საპრიზო 1,87 მლნ €**
**პირველი წრე**

**მარატ საფინი (3, რუსეთი) — ალბერტო მარტინი (ესპანეთი) 6:1 6:0; გასტონ გაუდიო (4, არგენტინა) — დავიდ სანჩესი (ესპანეთი) 6:2 6:2; ფელისიანო ლოპესი (ესპანეთი) — ანდრე აგასი (8, აშშ) 6:2 7:6 (7:5); რობინ სოდერლინგი (შვედეთი) — დავიდ ნალბანდიანი (9, არგენტინა) 7:6 (10:8) 7:5; გილერმო კორია (10, არგენტინა) — ვინსენ სპადეა (აშშ) 6:0 6:2; გილერმო კანიასი (12, არგენტინა) — ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) 6:2 6:1**

**ამერიკელებს** შავი სათიხნარო დღეები უდგათ — ჯერ იყო და მეორე ნომრად განთესილი ენდი როდიკი იქნა ოტებული შარშანდელი ოლიმპიადის გამარჯვებულ ნიკოლას მასუს მიერ, ახლა კი შეზერებული არმენოამერიკელი ანდრე აგასიც დაიჩია ხოშიანმა ესპანელმა ჭაბუკმა ფელისიანო ლოპესმა. ჯადო ანდრე ნამატჩევს ამბობდა, რომ ყველაფერში დამნაშავე ცივი ამინდი იყო, რაიც 35 წლის კაცისთვის თიხნარზე უფრო ძნელად მოსანელებელი ფენომენია, ვიდრე ლოპესის დარი ყოჩმისთვის. არადა, ესენი ერთმანეთს აქამდე ორჯერ და ისიც მაგარსაფარზე შეხვედრიან და ორივეჯერ გრძნეულ ამერიკელს ემარჯვა.

**ITALIA MASTERS**
**რომი. თიხნარი**
**საპრიზო 1,3 მლნ $**
**მეორე წრე**

**მარია შარაპოვა (1, რუსეთი) — ანაბელ მედინა გარიგესი (ესპანეთი) 6:4 6:2; პაულა სუარესი (არგენტინა) — სვეტლანა კუზნეცოვა (5, რუსეთი) 6:2 6:4**

**მარია შარაპოვა** უკვე არა ერთი კვირაა, იმაზე ჩალიჩობს, ლინდსი დევენპორტს ამქრის პირველობის ჩოგანი ჩამოართვას. წინა კვირაში მან ბერლინურ მეოთხედფინალს უწია და ეს საკმარისი ვერ გამოდგა საიმისოდ, რათა მომავალი ორშაბათიდან ხელში ყველაზე საპატიო ინსტრუმენტი დაეკავებინა.

ეგებ, ეს ამ ჯერზე მაინც გამოუვიდეს. თუმცა მაგანთ უფრო იმის იმედი აქვთ, რომ — რავარც იმ მეოთხედფინალში ჟუსტინ ენენ-არდენისგან მოისრა, უკეთესი არც ახლა უნდა დაემართოს...

რა იზამს, ჯერ პატარა გოგოცუნაა და თიხნარზე ბუქნაობასაც ეგრეც დაეჩვია.

**ლევან კელაურაძე**



# მოსკოვი ისევ ფსკერზეა

ერთდროულად ორი არაოფიციალური რეიტინგი მოსკოვს ბოლო ადგილზე აყენებს იმ ქალაქთა შორის, რომლებიც 2012 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობაზე აცხადებენ პრეტენზიას.
ეს რეიტინგები შეადგინა ჟურნალმა **AROUND THE RINGS**, რომელიც ოლიმპიურ პრობლემატიკას აშუქებს და საიტმა **GAMESBIDS.COM**

**ჟურნალის** სიაში, როგორც ყველა სხვა გამოკითხვის შედეგად, ლიდერობს პარიზი, რომელსაც 110 შესაძლებელიდან 86 ქულა აქვს. მას მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩება ლონდონი. 77 ქულით მესამეა ნიუ იორკი. მას მოჰყვება მადრიდი (75 ქულა), ხოლო ცხრილის ფსკერზე მოსკოვია (66).

მოსკოვის ოლიმპიური თამაშების საგანაცხადო კომიტეტის საინფორმაციო კომიტეტის ხელმძღვანელი პიოტრ ვასილიევი BBC-სის კორესპონდენტისადმი მიცემულ ინტერვიუში სკეპტიკურად არის განწყობილი ჟურნალის რეიტინგის მიმართ.

„ეს ჟურნალი მთელი ორი წლის განმავლობაში ჩვენ ბოლო ადგილზე გვაყენებს. ჩვენ ქალაქების რეიტინგებს პრინციპულად არ ვუკეთებთ კომენტარს, რადგან ისინი არაოფიციალურები არიან. ამიტომაც სასაცილოა მათი კომენტირება. ჩვენ არ ვიცით, რა კრიტერიუმებით სარგებლობენ ისინი, არც ის მეთოდიკა ვიცით, რითაც ისინი თავიანთ განგარიშებებს აკეთებენ — ამბობს პიოტრ ვასილიევი — ერთადერთი, რაზეც შეიძლება დავეყრდნოთ, ჩემი აზრით, კანდიდატ ქალაქთა წიგნების დეტალური შემოწმებაა. აგრეთვე იმ ფაქტებისა და მონაცემების შემოწმება, რომლებიც მათშია მოცემული და დაფუძნებულია სოკ-ისა და საკუთარი შემფასებელი კომისიების ექსპერტთა საფუძველზე.“

საქმე ისაა, რომ ოფიციალური რეიტინგები უბრალოდ არ არსებობს.

ჟურნალი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მათ მიერ შედგენილი რეიტინგი ანარეკლია იმ ფაქტორებისა, [illegible] სოკ-ის ოლიმპიური კომიტეტის წევრები კენჭისყრისას ხელმძღვანელობენ. ეს გამოცემა იმასაც აღნიშნავს, რომ მისი მიზანი სულაც არაა გამარჯვებული ქალაქის გამოცნობა.

ამასობაში საიტი WWW.GAMESBIDS.COM თვლის, რომ ლონდონი თანდათანობით სულ უფრო და უფრო ამცირებს პარიზთან ჩამორჩენას. ახლა 2,5 პუნქტს შეადგენს. ეს საიტი ლონდონის აქვს „[illegible] აგრესიული სტილისთვის“. რაც იგი თავის საარჩევნო კამპანიას [illegible] პარიზმა, რომელიც „[illegible] რად ძლიერი გუნდა“ წარმოადგინა 65,8 პუნქტს მოუყარა თავი.

ეს საიტი მესამე ადგილზე აყენებს მადრიდს, მეოთხეზე ნიუ იორკია, ხოლო მოსკოვი აქაც ბოლო ადგილზე მიჩანჩალებს, რომელსაც ბოლოს 0,51 პუნქტი დააკლდა და ახლა 49,77-ლა აქვს.

საინტერესოა, რომ ამავე რეიტინგების მიხედვით 2001 წელს, როცა პეკინი 2008 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლად აირჩიეს, ამთავითვე ლიდერობდა.

ასეა თუ ისე, 2012 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლის ვინაობა 6 ივლისს საერთაშორისო კომიტეტის სინგაპურში გასამართ სესიაზე გაირკვევა.

**ავთანდილ ტყვიშელი**






AFP ბაღდადიდან

# ბაღდადური თვალების ეშხით

არ გაგიკვირდეთ: ჩადრისა და კაცების ერაყში, ბაღდადის უნივერსიტეტის მინდორზე იქაური გოგონები სოფთბოლს თამაშობენ. ბეისბოლის ქალთა ვერსიის პოპულარიზაცია დიდ კამათს იწვევს ერაყში. მას „ამერიკულ შემოტევასაც“ კი უწოდებენ. ის თავის დროზე სადამმაც კი აკრძალა როგორც იმპერიალისტური თამაში, ბაღდადელ გოგონებს კი, ისევე უნდათ თავისუფლება და სილაღე, როგორც სხვებს და თან — ბაღდადელი გოგოები ლამაზები არიან. აღმოსავლეთი რთული საქმეა. ამ ფოტოზე, თასით ხელში დამარცხებული, „დივანიას“ გუნდი ჩანს. ფინალი „ბაღდადს“ მოუგია, ჯამში კი მეგობრობას და გამბედაობას.



AFP ბაღდადიდან






AFP რიო დე ჟანეიროდან

# ცხელი ქვიშა

კოპაკაბანაზე პირდაპირ ხურს მსოფლიო ჩემპიონატი ქვიშის ფეხბურთში. ურუგვაელი სობრალ პამპერო და უკრაინელი ვიქტორ ულიანიცკი ასე იბრძვიან ქვიშაში დაფლული ბურთისთვის. ბრაზილიელი ერიბალდო ჟუნიორი კი ასე უტევს ესპანელებს.




სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქროპირიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორაშვილი, ლადო ხიძერიძე, კახა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: ვასო ახალაძე, ლევან კალანდაძე, თორნიკე გელაძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კვიციძე
სტილისტები: ნათელა გიორგაძე, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუზუნაშვილი, ელენე გალუსტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი ლევალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წეწკლაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge